# სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 19 თებერვალი 1999 №29 (802) | ფასი 50 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## დემეტრაძე ბომბარდირია



„ალანიას“ ქართველმა თავდამსხმელმა ათ მატჩში 9 გოლი გაიტანა

## კევინ კიგანი გაუხარდათ



თავად კიგანი კი ინგლისის ნაკრების აღორძინებას ჰოვარდ . უილკინსონის დახმარებით აპირებს

## კრის ვებერმა სიეტლს მოუგო

წაუგებელმა „სუპერსონიქსმა“ „საკრამენტოსთან“ წაიფორხილა



## გრეგ რუზედსკი: ასეთი ახალგაზრდა კარგა ხანია, არ მინახავს

ბოლო „უიმბლდონის“ ახალგაზრდულ ფინალში ირაკლი ლაბაძის მძლეველ როჯერ ფედერერს დიდ მომავალს უქადიან



ზურაბ აზმაიფარაშვილმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო

## ევროპამ საქართველო ირჩია!

ევროპის საჭადრაკო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1999 წლის ევროპის გუნდურ ჩემპიონატს საქართველო, კერძოდ, ბათუმი უმასპინძლებს! ამ ფაქტის მნიშვნელობის დაუნახაობა ან შეუფასებლობა არაფრით იქნება: ბოლო ათწლეულის საქართველო ფაქტობრივად მოკლებული იყო მეტნაკლებად მნიშვნელოვან საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირებს, ამჯერად კი ეს უსიამოვნო ტრადიცია დაირღვა. „სარბიელის“ მკითხველს უეჭველად დააინტერესებს, რა ხდებოდა 12-13 თებერვალს დორტმუნდში, ევროპის საჭადრაკო საბჭოს სხდომაზე, სადაც ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა უნდა დასახელებულიყო...

იხილეთ მეცხრე გვერდი

## პატიოსანი მსაჯობა პლუს ელექტრიფიკაცია

ფეხბურთის ფედერაციის ახალ თავკაცობას საქართველოს ჩემპიონატის მხსნელად საგარანტიო 200 000 დოლარის გარდა მაღალკვალიფიციური, ობიექტური მსაჯობაც ეგულება. ეს სეზონისწინა პერიოდშიც კარგად გამოჩნდა, მსაჯთა ატესტაცია უმკაცრესად ჩატარდა და მიზეზთა გამო რამდენიმე წონიანი არბიტრიც ჩაიჭრა. ჩააბარებენ თუ არა ატესტაციაგამოვლილნი ამის შემდეგ პირველ სერიოზულ გამოცდას, ეს თასის მეოთხედფინალის საშაბათო მატჩებმა უნდა გვაჩვენოს. მანამდე კი სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი მილჩენკო „სარბიელს“ ახალი სეზონის სამზადისზე ესაუბრა

იხილეთ მესამე გვერდი



შოთა ხინჩაგაშვილს და ანატოლი მილჩენკოს მსაჯები ვერაფერს გამოაპარებენ

# იარამჩენკომ ფოცხვერიას და ჯანაშიას შესაძლო დუელი ჩაშალა



ზაზა ჯანაშიამ, მიხეილ ფოცხვერიას „შახტიორს“ კი გაუტანა, მაგრამ...

ამას წინათ საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატ მიხეილ ფოცხვერიას შესახებ ვწერდით. „სარბიელის“ მკითხველს მისი გუნდის, დონეცკის „შახტიორის“ სამეორეწრეო მზადებაზე ვუამბობდით. იმედიანად ვიყავით განწყობილი, რადგან, როგორც იქნა, კლუბის მთავარმა მწვრთნელმა ვალერი იარემჩენკომ შეწყვიტა უმოწყალო პოლიტიკა, რომელსაც ჩვენებურის მიმართ ახორციელებდა და მიშას ძირითად შემადგენლობაში თამაშის საშუალება მისცა. ჰოდა, ფოცხვერიაც ჩვეულად გაისარჯა: ისრაელში შეკრებაზე „შახტიორის“ მიერ გამართულ ექვს საკონტროლო შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა და გუნდის თავდასხმის ხაზში გამწესებაზე სერიოზული პრეტენზიაც განაცხადა.

დონეცკელებმა სამზადისი გერმანიაში გააგრძელეს და ორი მატჩიც გამართეს. „ნიურნბერგთან“ 0:2 რომ დათმეს შეხვედრა, ამის შესახებაც გაუწყეთ. ფოცხვერიამ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა და მის ნაცვლად მოედანზე ლატვიელი ფორვარდი შტოლცერსი შეუშვეს. ბუნდესლიგელებთან დამარცხების შეფასებისას „შახტიორის“ მთავარმა მწვრთნელმა ვალერი იარემჩენკომ ფოცხვერიას ნახევარმცველ ვალერი კრივენცოვთან ერთად უნიათოდ გარჯაში დასდო ბრალი. აი, დანარჩენებზე კი განაცხადა, ბიჭებს მონდომებას ვერ დავუკარგავ, როგორც შეძლოთ, ისე ითამაშესო. ასეა, ჩასაფრებული კაცის პოზიცია ხომ მოგეხსენებათ, თუ დაგინახა, ოდნავ წაგიცდა ფეხი, რეაქციას უმალ მოგაყოლებს. ჰოდა, იარემჩენკომ მომდევნო საკონტროლო მატჩი ორივე ფეხბურთელი სათადარიგოთა სკამზე გაამწესა და მიხეილ ფოცხვერიასა და ზაზა ჯანაშიას შესაძლო დუელიც ჩაიშალა. დიახ, მორიგ შეხვედრაში „შახტიორი“ ჯანაშიას მოსკოვურ „ლოკომოტივს“ დაუპირისპირდა. მატჩი შტუტგარტის მახლობლად, პატარა ქალაქ რუიტში შედგა და უკრაინელთა გამარჯვებით 3:2 დამთავრდა. არადა, მე-15 წუთისთვის ანგარიში 0:2 იყო რკინიგზელთა სასარგებლოდ. პირველი ბურთი „შახტიორის“ კარში ზაზა ჯანაშიამ გაიტანა. იარემჩენკოს შეგირდებმა შეძლეს ძალთა მობილიზება და შტოლცერსის, პოპოვისა და ორბუს გოლებით მოიგეს შეხვედრა. ჯანაშია 70-ე წუთზე შეცვალეს, იმ დროისთვის ანგარიში 2:2 იყო.

დონეცკის „შახტიორი“ გუშინ კვიპროსში გაემგზავრა ორკვირიან შეკრებაზე. გუნდის ხელმძღვანელობას ხუთი საკონტროლო მატჩის გამართვა აქვს დაგეგმილი, მეტოქეებად კი შემდეგი კლუბები შეიპირა, — „ფლორა“ (ესტონეთი), „როტორი“ (რუსეთი), კვიპროსის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი ბინადარი, „ბალტიკა“ და „ურალანი“ (ორივე რუსეთი).

იარამჩენკომ ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე ფოცხვერიაც იახლა. ვნახოთ, თუ მისცემს ქართველ ფორვარდს რეაბილიტაციის საშუალებას.

**ხვიჩა სანიძიძე**

# კალაძით მეტოქეებს აშინებენ

მოგეხსენებათ, იტალიიდან აბარგებულმა კიევის „დინამომ“ ისრაელში გამართა სამზადისი. კახა კალაძემ ჯერ კიდევ აპენინებზე ყოფნისას გვითხრა, აღთქმულ მიწაზე ვლადიკავკაზის „ალანიას“ უნდა გავეჯიბროთო. გაზაევის გუნდში სამი ქართველი თამაშობს და ბუნებრივია, ამ მატჩისადმი ინტერესი გაორმაგდა.

გუშინ საღამოს, მატჩის შემდეგ, ისრაელში მყოფ კალაძეს შევეხმიანეთ და შეხვედრის თაობაზე გავესაუბრეთ. როგორც კახამ გვიამბო, მატჩი თელ-ავივის ჩრდილოეთით მდებარე გარეუბანში ჩატარებულა და ვლადიკავკაზელთა გამარჯვებით 2:1 დასრულებულა. ლობანოვსკის პირველ ნახევარში „დინამოს“ მეორე შემადგენლობა უთამაშებია. კალაძე და ძირითადის კიდევ ცხრა ფეხბურთელი შესვენების მერე გაუყვანია მინდორზე.

„ალანიამაც“ სწორედ შესვენებამდე იხეირა. პირველი გოლი დემეტრაძემ გაიტანა, კუთხური ჩაწოდებისას არეულობით ისარგებლა და აუღელვებლად გაგზავნა ბურთი უკრაინელთა კარში. მეორე გოლი ვლადიკავკაზელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ჩაიწერა საკუთარ ანგარიშზე.

აი, მეორე ტაიმში კი მოედანზე ოთხი ქართველი ირჯებოდა. კალაძეს პირისპირ გიორგი დემეტრაძე, მამუკა წერეთელი და ექსტორპედოელი გია ჩხაიძე თამაშობდნენ. ეს უკანასკნელი გაზაევმა შესვენების შემდეგ შეუშვა მინდორზე. ლობანოვსკის შეგირდებმა, მიუხედავად სრული უპირატესობისა, მეორე ნახევარში მხოლოდ ერთი გოლის გატანა შეძლეს და შეხვედრაც ასე დასრულდა.

კალაძის ბოლოდროინდელი საჯარიმო დარტყმების ამბავი რომ ვიცოდით, ვიფიქრეთ, ეს ერთიც კახამ ხომ არ გაიტანაო, მაგრამ ეს გვიპასუხა: საჯარიმოებს შევჩენკო ურტყამდა, ისე კი ვალერი ლობანოვსკის მითითებით, ალანიელთა დასაბნევად, ყველა საჯარიმოსას მე ვემზადებოდი...

ეჰ, ერთ რამედ ღირდა, ალბათ, ამ მატჩის ყურება, მაგრამ რას ვიზამთ... ქართველთა ოსტატობით მხოლოდ ებრაელებმა ისიამოვნეს. იმას მაინც თუ მიხვდნენ მოსეს ჩამომავალნი, რომ არც ერთი იყო უკრაინელი და არც ის სამი რუსი, ოთხივენი ბედკრული საქართველოს შვილები არიან...

**ხვიჩა სანიძიძე**

# შუმახერიდან სამგურალამდე

წყალტუბოს „სამგურალის“ მთავარი მწვრთნელი გაიოზ დარსაძე გერმანიიდან დაბრუნდა. კაიზერ ფრანცის სამშობლოში ქართველი სპეციალისტი თავისი საქმიანობისთვის შეუფერებელი მიზნით იმყოფებოდა. უცხოეთში არ ზრუნავენ იქაური მწვრთნელები თავიანთი კლუბების აღკაზმულობაზე, ეს მათ მოვალეობაში არ შედის, თორემ ჩვენთან... გაიოზ დარსაძეს ჟინსა და მონდომებას ვერ დაუკარგავ. ამდგარა კაცი, დაკავშირებია სანქტ პეტერბურგში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენ ბადრი კაკაბაძეს და მასაც „სამგურალის“ შემოსვაზე თანხმობა განუცხადებია, საამისოდ გარკვეული თანხაც გამოუყვია. წყალტუბოელთათვის დიდი დახმარება აღმოუჩენია ფირმა „ვოსსაც“ მისი შუამავლობით გუნდისთვის მაქსიმალური შეღავათებით შერჩეულა ფორმა და რადგან მისი გერმანიიდან გადმოგზავნა გარკვეულ დროსა და ხარჯებს მოითხოვდა, „სამგურალის“ მწვრთნელმა თავად არჩია ადგილზე ჩასვლა და საქმის დროულად და სარფიანად მოგვარება. შედეგად „სამგურალი“ თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრას „ვიტ ჯორჯიასთან“ ახალი ფორმით ჩაატარებს. წყალტუბოელები, ვიდრე ახალი კაკაბაძე გამოჩნდება, გერმანული ფირმა „ულ სპორტის“ კომპლექტით ითამაშებენ. სხვათა შორის, თავის დროზე ამ ფირმის ხელთათმანებით ცნობილი გერმანელი მეკარე ტონი შუმახერი ასპარეზობდა, მაშინაც კი, როდესაც მშობლიურ ნაკრებში მშობლიურ „ადიდასის“ მიერ იყო შემოსილი.

**პაატა ქვანტალიანი**

# ზღვისპირეთიდან მესაზღვრეში

დღეს თბილისს საქართველოს თასისა და სუპერთასის მფლობელი „ბათუმი“ ეწვევა. მოგეხსენებათ, ხვალ აჭარლებს მეტად პრინციპული შეხვედრა ელით: ვაკეში, „26 მაისის“ სტადიონზე, საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველ მატჩში ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის აღმოჩენას, თასის მერვედფინალში თვით უცვლელი ჩემპიონის, თბილისის „დინამოს“ მძლეველ „ლოკომოტივს“ შეხვდებიან. რკინიგზელები მეორე წრის წინ საკმაოზე მეტად გაძლიერდნენ, ამიტომაცაა, რიხიანად რომ გაიძახიან, ჩვენი მიზანი სამეულში მოხვედრა და თასის აღებააო.

თემურ მახარაძის ქვეშევრდომნი კი იქადნებიან, მაგრამ თასის უკანასკნელ მფლობელ „ბათუმსაც“ როდი ჩამოუყრია ყურები.

„ბათუმის“ სათასო და საჩემპიონატო მზადების შესახებ „სარბიელი“ ხშირად იტყობინებოდა. გუნდიდან, როგორც ცნობილია, მხოლოდ დავით ჭიჭვეიშვილი და თემურ ტულუში წავიდნენ. სამაგიეროდ, არანაკლები შევსება მიიღეს: გოჩა გუჯაბიძე, თემურ დოლიძე, მამუკა მინაშვილი, ნიგერიელი უჩ უვაკვე. მათ კიდევ ორი ფეხბურთელი შეემატათ, თანაც ორივე მცველი. მარჯვენა განაპირა მცველი ივანე მახარაძე მშობლიურ გუნდს დაუბრუნდა. მოგეხსენებათ, იგი ზაფხულში ჩემპიონ „დინამოში“ გადავიდა და კლუბის შემადგენლობაში როგორც ეროვნული ჩემპიონატის, ასევე ევროთასების მატჩები ითამაშა ბასკურ „ატლეტიკსა“ და ჰოლანდიურ „ტილბურგთან“. ამის მერე თბილისელთა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ იგი ძირითადს აღარ გააკარა. სწორედ ამან გადააწყვეტინა მახარაძეს „დინამოს“ დატოვება. მართალია, მას „ბათუმთან“ კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია, მაგრამ არც დაყოვნებას აპირებს, მეორე წრეს მშობლიურ გუნდთან გაატარებს.

ბათუმელებმა კიდევ ერთი მცველი — ილო ქუტიძე გადაიბირეს. იგი მათთან „დინამოდან“ გადავიდა, თავად ჩემპიონმა კი ფოთის „კოლხეთიდან“ წაიყვანა. ქუტიძეც დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშობდა, მაგრამ როცა „დინამო“ ბელგიას გაემგზავრა, აქ დარჩა ან დატოვეს. კოლხყოფილმაც ისევ ზღვისპირეთი არჩია, ოღონდ მშობლიური გუნდის ნაცვლად „ბათუმს“ მიაშურა. ჯერჯერობით არაა გადაწყვეტილი, „დინამო“ მას გაანათხოვრებს თუ გაყიდის. თავად ფეხბურთელი თურმე მონდომებით ვარჯიშობს და აქ დარჩენაც სურს.

როგორც ზემოთ გითხარით, ბათუმელები თბილისს დღეს ეწვევიან და სასტუმრო „მესაზღვრეში“ დაბინავდებიან. აქედან ახლოს მყოფ ფეხბურთის ფედერაციას მიაკითხავენ და საშეჯიბრო კომიტეტს სამეორეწრეო განაცხადს წარუდგენენ.

აქვე მეორეჯგუფელ „კოლეჯზე“ გეტყვით. მას წარსულში ბათუმის „დინამოს“ ცნობილი მეკარე ასლან ბალაძე წვრთნის. სწორედ უმცროსჯგუფელებმა გაუწიეს „ბათუმს“ თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ სპარინგ-პარტნიორობა. „კოლეჯი“ ბათუმელთა ფარმ-კლუბია, ამიტომაც უფრო გამოცდილთ მათი დამარცხება არ გასჭირვებიათ. ისინი ოთხჯერ გაეჯიბრნენ ერთმანეთს — ძირითადი, სათადარიგო და შერეული შემადგენლობებით და ოთხჯერვე უფროსებმა 3:2, 5:1, 4:1 და 6:1 იმარჯვეს. ამ მატჩებში გამოჩნდა, თუ რა შეუძლია ნიგერიელ უვაკვეს. თავად „კოლეჯმა“, „ბათუმის“ მსგავსად, თავადაც დაიმატა ფეხბურთელები. ესენი დავით ჭელიძე და ირაკლი ბახტაძე არიან, რომლებიც შესაბამისად სამტრედიის „იბერიიდან“ და თბილისურ თსუ-სგან შეუერთდნენ გუნდს.

**გიორგი ვაშაძიძე**

# დემე — მეკარეთა მწუხარება

ვლადიკავკაზის „ალანიას“ ქართველი ლეგიონერი, თავდამსხმელი გიორგი დემეტრაძე კვლავ აგრძელებს მეტოქეთა მეკარეების დაწიოკებას. საქართველოს ეროვნული ნაკრების კანდიდატმა თავისი კლუბის ათ საკონტროლო შეხვედრაში უკვე ცხრა გოლის გატანა მოასწრო. დემემ განსაკუთრებით მინსკის „დინამოს“ კარის დარაჯი დაამწუხრა და სამჯერ უშანსოდ გასარჯა.

ისრაელში შეკრებაზე მყოფმა „ალანიამ“, ბელარუსელთა გუნდი გიორგის ჰეთ-თრიკის წყალობით 3:2 დაამარცხა.

შეგახსენებთ, რომ 1998 წლის სეზონში ვლადიკავკაზის გუნდში შედარებით გვიან გადაბარგებულმა დემეტრაძემ ცხრა საჩემპიონატო მატჩში 14 გოლი გაიტანა. იგი ბომბარდირთა სამეულში მოხვდა. დემე გასული წლის რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტადაც აღიარეს.

**ხვიჩა სანიძიძე**



გიორგი დემეტრაძემ (№16) ათ მატჩში 9 გოლი გაიტანა

# ტერნოპოლში თამაშობენ ქართველები

**სლოვაკური შეკრების შემდეგ ტერნოპოლის „ნივას“ მწვრთნელი იგორ იურჩენკო კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად დახურულ კარს მიღმა გაუჩინარდა და ზუსტად სამი საათის მერე გამობრუნდა. არავინ იცის, რაზე ან ვისზე საუბრობდნენ ნიველები, მაგრამ განწყობილებაზე ეტყობოდათ კმაყოფილნი იყვნენ სადღეისო მდგომარეობით.**

„სარბიელის“ მკითხველისთვის ტერნოპოლური კლუბი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მასში ექვსი ქართველი ფეხბურთელი გამოდის. ტყუპი კაპანაძეების შესახებ უკვე რახანია ვიცით, დანარჩენებზე კი ამას გამცნობთ — ავთანდილ სიხარულიძე, ავთანდილ გვიანიძე, კახა დგებუაძე და ალეკო კაიდარაშვილიც ჩინებულად შეეწყვნენ გუნდს.

გაზაფხულზე „ნივას“ ქომაგებს ახალი ქართული გვარების დასწავლა მოუწევთ. იგორ იურჩენკოს თქმით, მას არ აშინებს კავკასიური წარმომავლობის წარმომადგენელთა სიმრავლე — ქართველები კარგად იქცევიან და არ ქმნიან დაჯგუფებებს — ირწმუნება იგი.

ახლა კი „ნივას“ მთავარი მწვრთნელის გამონათქვამებსაც გაგაცნობთ თითოეული ქართველის შესახებ.

ავთანდილ კაპანაძეზე — ავთანდილი გუნდის ლიდერია და ეს მან სლოვაკური შეკრების დროსაც დაამტკიცა. მინდვრიდან უგოლოდ არ გადის.

ტარიელ კაპანაძეზე — როგორც ადრე, ეს გამოცდილი ნახევარმცველი მარჯვენა ფრთაზე ითამაშებს. გუნდის ხელმძღვანელობას მისი დიდი იმედი აქვს. ტარიელის შრომისუნარიანობა ახლა განსაკუთრებით გვჭირდება.

ავთანდილ სიხარულიძეზე — იგი სულ უფრო და უფრო აგრესიული ხდება „თავდამსხმელების უკანა“ პოზიციაზე და უკვე ძირითადი შემადგენლობის სრულუფლებიანი წევრიცაა.

კახაბერ დგებუაძეზე — მწვრთნელები ხმელნიცკის „პოდოლიდან“ გადმოსული ამ ფეხბურთელის კმაყოფილები ვართ. შეიძლება ითქვას, „ნივამ“ მეტად ხელსაყრელი ტრანსფერი განახორციელა. კახაბერი ერთნაირად სასარგებლოდ მოქმედებს, როგორც ფრთაზე, ასევე მინდვრის შუაგულშიც.

ავთანდილ გვიანიძეზე — ავთანდილი „ნივას“ კიდევ ერთი „მომავლის იმედია“, იგი უკვე აკაკუნებს ძირითადი შემადგენლობის კარებზე და გუნდში რომ კონკურენციამ ასე იმატა, ეს გვიანიძის დამსახურებაცაა.

დაბოლოს, ალეკო კაიდარაშვილზე — ახალგაზრდა კაიდარაშვილს უკვე უწინასწარმეტყველებენ ახალი ვარსკვლავის ბედს ტერნოპოლში. სლოვაკეთში მან თავისი სიძლიერეც დაამტკიცა და ფასიც. ალეკო ტიპიური ცენტრფორვარდია, ფეთქებადი სიჩქარით და გოლის იშვიათი ალღოთი. ამასთან ერთად, კაიდარაშვილი აგრესიულიცაა და კარგად ეხერხება ბურთის მოფრთხილება.

ტყუპ კაპანაძეებს ქართველი გულშემატკივარი „გორდაში“ თამაშით იცნობს, გვიანიძეს „შუქურაში“, სიხარულიძეს იქვე, „გურიაში“, „ბათუმსა“ და „სამტრედიაში“. კაიდარაშვილი მშობლიურ გორის „დილას“ ახლახანს დაეთხოვა. დგებუაძეს კი ჩვენში არავინ იცნობს, მას თამაში ბელარუსულ „ტრანსმაშში“ დაუწყია.

დასასრულს „სარბიელის“ მკითხველებს ქართველთა კლუბის სლოვაკური ტურნეს შედეგებსაც ვამცნობთ — „ტატრანი“ (პრეშოვი) 2:1 — გოლები ა. კაპანაძემ და შპაკმა გაიტანეს, „სპარტა“ (ნ. გრუშევი) — 6:1 (ა. კაპანაძე (3), გვიანიძე, დგებუაძე, კაიდარაშვილი), ცსკა 2 (კიევი) — 5:1 (ბისკუპი, ბოგორო დიჩენკო, დგებუაძე, ტ. კაპანაძე, კაიდარაშვილი).

**კონსტანტინე გოგიშვილი**

# პატიოსანი მსაჯობა პლუს ელექტრიფიკაცია

*წინა კვირაში ქართულ ფეხბურთში თუ რამე მნიშვნელოვანი ხდებოდა, ერთ-ერთი მათგანი ქართველი მსაჯების სეზონისწინა ტესტირება იყო. ამ გამოცდებზე პირველ ჯგუფის შეხვედრათა განსჯაზე პრეტენზიას სამ ათეულზე მეტი „შავოსანი“ აცხადებდა. საბოლოოდ ლიცენზია 23-ს ერგო. მსაჯთა დღევანდელი მომზადების დონეზე კი ყველაზე უკეთ ვის უნდა ეთქვა, თუ არა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცს ანატოლი მილჩენკოს. თანაც სათქმელი ერთიც ჰქონდა, მსაჯთა ახლებურად, წილისყრით დანიშვნის თაობაზე.*


ბადრი ქოჩილაძის ფოტო

ანატოლი მილჩენკო

**— თასის მეოთხედფინალებისთვის კენჭისყრისას ლოტოტრონში ოთხი არბიტრის გვარი ჩაიყარა, რა პრინციპით შეირჩა ეს ოთხეული დანარჩენ ლიცენზიამიღებულთაგან?**

— სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ამ ეტაპზე უმჯობესი იქნებოდა, უფრო გამოცდილ ხალხზე შეგვეჩერებინა არჩევანი. დღეისთვის ესენი სხვა დანარჩენებთან შედარებით უკეთ გამოიყურებიან, როგორც ფიზიკურად, ისე თეორიულად. ამას მათი ფსიქოლოგიურად უკეთესი მდგომარეობაც ემატება, აქვთ პრინციპული შეხვედრების განსჯის გამოცდილებაც. ფედერაციამაც მხარი დაგვიჭირა. ვფიქრობ, მათ შესწევთ ძალა, ეს პრინციპული მატჩები უმაღლეს დონეზე განსაჯონ. ბოლო-ბოლო ფიფას არბიტრები არიან.

**— ამიერიდან მსაჯები თასზე კენჭისყრით საჯაროდ დაინიშნებიან, იგივე ჩემპიონატის მატჩებზეც ხომ არ მოხდება?**

— არაა გამორიცხული. თუმცა, შესაძლოა, ისე მოხდეს, რომ ერთ მსაჯს ზედიზედ ერთი და იგივე გუნდის თამაშის განსჯამ მოუწიოს. ამ მხრივ პრობლემები რომ არ შეგვექმნას, ახალი სისტემის შემუშავებას ვაპირებთ, რომლითაც კმაყოფილნი იქნებიან, როგორც მსაჯები ისე გუნდები.

**— თქვენ კმაყოფილნი ხართ, მაგრამ იმსაჯებენ კი ღირსეულად, მაღალ დონეზე?**

— ზემოთაც აღვნიშნე, მათი შერჩევა ყველაფრის გათვალისწინებით მოხდა. ჩემს თანაშემწეებთან — ნიკა ამირეჯიბთან და ადიკ დურსუნიშთან ერთად საფუძვლიანად განვიხილეთ ყოველივე და დავრწმუნდით მათ ფსიქოლოგიურ მზადყოფნაში. აქ გათვალისწინებულია ის ფაქტორიც, რომ მათ მრავალი საერთაშორისო თუ ეროვნული ჩემპიონატის პრინციპული მატჩი განუსჯიათ. მათ კვალიფიკაციაში ეჭვი არ მეპარება. აქ ერთი მომენტიცაა გასათვალისწინებელი, თავად მოთამაშეები დისციპლინირებულნი იქნებიან თუ არა. ერთი სიტყვით, მე მათი მჯერა, ისიც კი ვუთხარით, არ დაიშურონ არაფერი, ნუ შეუშინდებიან სახელებს, დამნაშავე დასაჯონ, რაც შეიძლება მკაცრნი და პრინციპულნი იყვნენ.

**— ხშირად გაგვიგია, ეს მსაჯი ამ გუნდისააო, ის კი იმისო. ნუთუ, არაფერს მოიმოქმედებთ ეჭვების გასაფანტად?**

— ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია, მისი აღმოფხვრა უცებ არ მოხდება. როგორც იცით, ხუთი წელი უკრაინაში ვმოღვაწეობდი, ამიტომ აქამდე რა ხდებოდა, არ ვიცი, მაგრამ ერთს ვიტყვი. ჩვენ ამისთვისაც დიდი მუშაობა გავწიეთ. თუ მსაჯებმა ვერ გაითავისეს ყოველივე ეს, ისინი უპირველესად საკუთარ თავს ავნებენ. უდიდესი პოტენციალის მქონე ახალგაზრდობა მოდის, ამ თაობას ყველანაირი წინაპირობა აქვს, რომ სამსაჯო ფერხულში ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს.

**— კმაყოფილი ხართ ტესტირების შედეგებით?**

— მისი მაღალ დონეზე ჩასატარებლად მოსვლის დღიდანვე ვმუშაობდი, დახმარებას ისეთი გამოცდილი ხალხი მიწევდა, როგორებიც ნიკა ამირეჯიბი და ადიკ დურსუნიში არიან. გარდა ამისა, საატესტაციო კომისიას წარსულში ცნობილი მსაჯი მევლუდ მიმინოშვილი ხელმძღვანელობდა. ვერ ვიტყვი, რომ ტესტირება სუსტად ჩატარდა. ყველაფერი ეტაპობრივად ხდებოდა და ის, რომ კუპერის ტესტი მსაჯთა უმრავლესობამ წარმატებით ჩააბარა, ბევრს ნიშნავს. ჩვენ კიდევ განვიხილავთ მის შედეგებს. გვაქვს აგრეთვე შემუშავებული სამომავლო გეგმაც, რომელსაც აუცილებლად დავნერგავთ ზაფხულიდან. მსაჯთა მომზადების დღევანდელ დონეს ბრწყინვალეს ვერ ვუწოდებ, მაგრამ ვერც ცუდს ვიტყვი. მსაჯობა ადრეულ წლებთან შედარებით გაუმჯობესდება.

**— საბოლოოდ დაგვიზუსტეთ, ვინ ვერ ჩააბარა გამოცდები?**

— ტრავმის გამო ვერ ჩააბარეს ზურაბ დოლიძემ, თამაზ ლორთქიფანიძემ და ნუგზარ რუსიშვილმა, ამავე მიზეზით მერაბ მალაღურაძემ თავად იუარა გამოცდაზე გასვლა. კუპერის ტესტი ვერ გაიარეს თემურ მაჭარაძემ, ალექსანდრე შილაკაძემ, ნიკა მექერიშვილმა და ავთანდილ სამხარაძემ, ხოლო ლავრენტი რაზმაძე თეორიაში ჩაიჭრა. მან თეორიაში სამიანი მიიღო, ამიტომ, რეგლამენტის მიხედვით, უფლებას ვერ მივცემთ, ეროვნული ჩემპიონატის მატჩები განსაჯოს, თეორიაში რომ სამიანს მიიღებ, ესე იგი სუსტი ხარ. მათ შანსი კიდევ მიეცემათ. ხელმეორე გამოცდებს მარტში ჩავაბარებინებთ.

**— მალაღურაძემ თავად იუარაო, მიზეზი?**

— ოპერაცია გაიკეთა და ამიტომ მოვერიდეთ მისი სრული ძალით დატვირთვას, კუპერის ტესტი ხომ სახუმარო ამბავი არ არის. მან უეფადან შეტყობინება მიიღო, იწვევენ რაღაც ტურნირზე ისრაელში. რამე გართულება რომ არ ჰქონდეს ადგილი, შევთანხმდით და ნება დავრთეთ, გაფრენილიყო და მიეღო მონაწილეობა, რადგან გამოუცხადებლობის შემთხვევაში საქართველო კარგავდა მსაჯთა ადგილს. ჩამოვა თუ არა, იგი მაშინვე ჩააბარებს ტესტირებას. სხვაგვარად ლიცენზიას ვერ მიიღებს, რაც არ უნდა მაღალი დონის მსაჯი იყოს.

**— ეგ როგორ, მოუმზადებელი კაცი გაუშვით?**

— მერაბი ინდივიდუალურად ემზადებოდა, როგორც თეორიულად, ისე ფიზიკურად. იმსაჯა უამრავი საკონტროლო მატჩი, უბრალოდ, მოვერიდეთ, რომ 12-წუთიანი ტესტირების დროს რამე არ გართულებოდა. უბრალოდ, ვერ ვასწრებდით მის შეცვლას... ადგილის დაკარგვას, ალბათ, ასე ჯობდა. მერაბი 21 თებერვალს ჩამოვა და სხვა დანარჩენ ჩაჭრილებთან ერთად მარტში ჩააბარებს. ვინც ვერ ჩააბარებს, პირველი ჯგუფის მატჩებზე არ დავუშვებთ.

**— ვინც პირველი ჯგუფის მსაჯობაზე აცხადებს პრეტენზიას, გამოცდები ჩაუტარდათ, ასევე იქნება მეორე ჯგუფში გამწესებულთათვისაც?**

— საწვრთნელ-მეთოდური კომისია მისი თავმჯდომარის ნიკა ამირეჯიბის ხელმძღვანელობით პირველი ჯგუფის ანალოგიური პროგრამით 17 თებერვლიდან დაიწყებს მათ მომზადებას. თბილისელი მსაჯები გაივლიან დისპანსერიზაციას, რაც აუცილებელი პირობაა, მათი საატესტირებო მზადყოფნისთვის, თეორიული მომზადებაც იგივე ექნებათ, იმსაჯებენ საკონტროლო მატჩებზეც, მათზე მეთვალყურეობა იგივე იქნება, როგორც რანგით მაღალი ჯგუფის მსაჯებზე იყო და უკვე 26-შივე ჩავიბარებთ შედეგებს. რაც შეეხება რეგიონების მსაჯებს, მათ ტესტირება 8-დან 12 მარტამდე ჩაუტარდებათ გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში, სადაც ნორმალურად მომზადებისთვის ყველანაირი პირობა შეიქმნება. ამის მერე შევაჯერებთ თბილისელთა და რეგიონებიდან ჩამოსულთა შედეგებს და ამის მიხედვით გავცემთ ლიცენზიებს, ვინ იმსაჯებს მეორე ჯგუფში.

**— მსაჯობის ანაზღაურება ადრე თავად გუნდებს ევალებოდათ. პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ფედერაციის სათავეში მოსვლისას განაცხადა, ახლა არა გუნდები, არამედ თავად ფედერაცია გადაიხდის გასამრჯელოსო.**

— არბიტრებს ლიცენზიებს რომ ვაძლევდით, პრეზიდენტმა მაშინაც დაგვიდასტურა, მათ მხოლოდ ფედერაცია გაისტუმრებს. ძველი დრო წარსულს ჩაბარდაო. არადა, გავიხსენოთ, რამდენ გუნდს ჰქონდა მსაჯთა დავალიანება.

**— უცხოეთში ფართოდაა დანერგილი ეგრეთ წოდებული ელექტრონული ტაბლო. ამ სიახლეს ჩვენშიც ხომ არ უნდა ველოდოთ?**

— ჩვენ უკვე მივეცით შეკვეთა უეფას და ეს ელექტრონული ტაბლოები გერმანიაში მზადდება. ვვარაუდობთ, რომ უახლოეს ხანში ჩვენს მსაჯებსაც მიუწვდებათ ხელი ამაზე. გარდა ამისა, ჩვენში შემოვა კიდევ ერთი სიახლე, რომელიც ფიფამ და უეფამ კარგა ხანია, დანერგეს. ეს არის პატარა ზომის რადიოგადამცემი, რომლის საშუალებითაც მთავარი მსაჯი სათადარიგოს ანიშნებს, თუ რამდენი დრო დარჩა თამაშის დამთავრებამდე, ანაც რამდენი წუთის დამატებას აპირებს.

გიორგი ვაშაკიძე

# გურამ რუხაძე: ამ ბიჭებს ჩემპიონობაც ძალუძთ

*ნრეებს შორის შესვენება თუ კი რომელიმე ქართულმა გუნდმა ნაყოფიერად გამოიყენა, ერთ-ერთი „ვიტ ჯორჯიაცაა“. ვიტელებმა, გარდა იმისა, რომ ბევრი ახალი ფეხბურთელი დაიმატეს, სამი სპონსორიც შეიძინეს, თანაც სამივე უცხოური ფირმაა (ამერიკული „ვაითჰოლ ლედერლე“ და „ალფარმა“, გერმანული „რიტერ შპორტი“). ვეტერინარებმა თებერვლის დასაწყისში მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილ მინი-ფეხბურთის ტურნირშიც ითამაშეს, სადაც ფინალი „ლოკომოტივთან“ ერთბურთიანი სხვაობით დათმეს. „სამგურალთან“ თასის მეოთხედფინალური მატჩის წინ კლუბის პრეზიდენტს გურამ რუხაძეს კიდევ ერთხელ ვესტუმრეთ, ამის მიზეზი გუნდში მომხდარი ახალი ცვლილებებია.*

— ცოტა ხნის წინ კიდევ სამი ახალი მოთამაშე დავიმატეთ. მცველები რევაზ ქემოკლიძე („დინამო“), სოსო ერაძე („ლოკომოტივი“) და ნახევარმცველი კახა ალადაშვილი („გორდა“). სულ პირველი წრის შემდეგ რვა ფეხბურთელი ავიყვანეთ. ამ სამეულის გარდა მეკარე დავით მამარდაშვილი („ტორპედო“), ნახევარმცველები გურამ მეტრეველი („აკადემია“) და პაატა გვირჯიშვილი („მესხეთი“), თავდამსხმელები გიორგი ქორიძე („ლოკომოტივი“) და ლევან ხაბულიანი („აკადემია“). წასვლით კი მხოლოდ ერთი ფეხბურთელი წავიდა — ზურაბ მენთეშაშვილი პირველი წრის შემდეგ რიგის „სკონტოში“ გავუშვით. რვავე ახალწვეულთან კონტრაქტები უკვე გავაფორმეთ და განაცხადშიც შევიყვანეთ. მართალია, მეტრეველი „ვიტ ჯორჯიაში“ ვარჯიშობს, მაგრამ მეორე წრეში „აკადემიაში“ ითამაშებს. „აკადემია“ ახლა პირველ ჯგუფში გადმოსასვლელად იბრძვის, ჩვენ კი მის ხელმძღვანელობასთან პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს და დახმარება გადავწყვიტეთ.

**— გუნდის დღევანდელი მომზადებით კმაყოფილი ხართ?**

— კი, ნამდვილად კმაყოფილი ვარ. მზადება, როგორც იცით, 5 იანვარს დავიწყეთ, 7 თებერვლიდან შეკრებაზე გადავედით. გუნდი დღეში ორჯერ ვარჯიშობდა. მართალია, მთელი მოსამზადებელი პერიოდში თბილისში გავატარეთ, მაგრამ ამინდი ძალიან დაგვეხმარა. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, საზღვარგარეთ ვერ მოვემზადებოდით ისე, როგორც აქ. საკონტროლო მატჩებიც საკმარისი გავმართეთ, ამ შეხვედრებმა დამანახა, რომ დასახული მიზნის მიღწევა შეგვიძლია.

**— გუნდს მიზნად კვლავ ექვსეულს და თასის აღებას უსახავთ?**

— მიზანი უცვლელი რჩება — ვფიქრობ, დღევანდელ შემადგენლობას ექვსეულში შესვლაც ძალუძს და თასის აღებაც. ახლა კლუბში 25 ფეხბურთელია და მათ შორის ძალიან დიდი კონკურენციაა. ფაქტობრივად, ორი თანაბრად დაკომპლექტებული გუნდი გვყავს. ყოველივე ეს კი მაღალ შედეგებზე ფიქრის საშუალებას გვაძლევს.

**— რომელიმე ფეხბურთელს უცხოეთისკენ ხომ არ უჭირავს თვალი?**

— არა, ამჟამად ასეთი არავინაა. როცა ფეხბურთში მოვედი, პირველივე ინტერვიუში განვაცხადე, რომ ქართულ ფეხბურთში წარმატებას მიაღწევს ის გუნდი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში შეინარჩუნებს შემადგენლობას. დღემდე ეს, ფაქტობრივად, ვერავინ შეძლო. მინდა, ფეხბურთელებს ყველანაირი პირობა შევუქმნა, რათა კლუბიდან წასვლის სურვილი არ გაუჩნდეთ. ჩემი აზრით, ამ კონტიგენტს ჩემპიონობის მოპოვებაც კი ძალუძს. ახლა თითქმის ყველა მოთამაშესთან ხანგრძლივი კონტრაქტი გვაკავშირებს, ვეცდებით, ეს ბირთვი ბოლომდე შევინარჩუნოთ და წარმატებებსაც მივაღწიოთ. მით უმეტეს, ფეხბურთელთა სარფიანად გაყიდვით ფულის მოგება ჩემი მიზანი არასდროს ყოფილა. ყოველთვის ვცდილობ, გუნდის შენახვის სხვა გზა ვეძებო.

**— სამი უცხოელი სპონსორი უკვე იპოვეთ. როგორც ვიცით, კიდევ ერთ მძლავრ ფირმასთან აწარმოებდით მოლაპარაკებას...**

— საბოლოოდ ჯერ არაფერი გადაწყვეტილა, თუმცა მოლაპარაკებას ვაგრძელებთ და მალე ყველაფერი გაირკვევა.

**— მცხეთის „არმაზის“ სტადიონის გარემონტებას აპირებდით, ამ მხრივ როგორაა საქმე?**

— მინდვრის საფარი ამჟამად კარგ მდგომარეობაშია, ტრიბუნებიც შევაკეთეთ. მართალია, ინდივიდუალური სკამები ჯერ არ დაგვიდგამს, მაგრამ ამასაც მივხედავთ. გარდა ამისა, ჩავატარეთ კოსმეტიკური სამუშაოები, კეთილმოეწყო მსაჯთა და ფეხბურთელთა გასახდელები, მოვაგვარეთ ცხელი წყლის პრობლემაც. ასე რომ, სტადიონი მეორე წრეს მზადყოფნაში შეხვდება. რაც შეეხება ინდივიდუალურ სკამებსა და სხვა დაგეგმილ სამუშაოებს, ამას მომავალი სეზონისთვის გავაკეთებთ. ასეთ მოკლე დროში ყველაფრის მოსწრება, დამეთანხმებით, ცოტა ძნელია.



**— მერვე ჩემპიონატში თსუ-მ „არმაზზე“ სასიამოვნო ტრადიცია დანერგა. ჟურნალისტებს სტუდენტთა ხელმძღვანელობა შემადგენლობებს გვახვედრებდა. ხომ არ აპირებთ ამ ტრადიციის აღდგენას?**

— ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ჟურნალისტებმა მცხეთის სტადიონზე მაქსიმალურად კომფორტულად იგრძნონ თავი და არა მარტო ჟურნალისტებმა, ყველა ღონეს ვიხმართ, რათა გულშემატკივრებიც კმაყოფილი იყვნენ. ახლა ერთბაშად იმდენ საქმეს ვაკეთებთ, რომ შესაძლოა რაღაც გამოგვრჩეს, ამიტომ ვეცდებით, ის კრიტიკული შენიშვნები, რაც ჩვენს მიმართ იქნება გამოთქმული, გავითვალისწინოთ და ქომაგები ნასიამოვნები დავტოვოთ.

**— გავიგეთ, ბავშვთა საფეხბურთო სკოლის შექმნასაც აპირებთ.**

— ამის დიდი სურვილი გვაქვს. ამჟამად ძალიან კარგი ურთიერთობა გვაკავშირებს საფეხბურთო სკოლა „ვაკე 91“-თან, რომელთანაც მოლაპარკებას ვაწარმოებთ და უახლოეს მომავალში კონკრეტულ გადაწყვეტილებასაც მივიღებთ. გარდა ამისა, უკვე მომავალ წლიდან ფარმ-კლუბის ჩამოყალიბებას ვაპირებთ.

**— ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების თანახმად, მეთერთმეტე ჩემპიონატს ვერ დაიწყებს ის გუნდი, რომელიც 200 ათასი დოლარის გარანტიას არ წარადგენს. რა კომენტარს გაუკეთებთ ამ ფაქტს?**

— სწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ, ვფიქრობ, გარკვეული დეტალებია გასათვალისწინებელი. ამ თანხის ქონის გარანტიას ყველა გუნდი წარმოადგენს, მაგრამ უნდა შეიქმნას კონტროლის მექანიზმი, რათა ეს გარანტია ფიქტიური არ იყოს.

**— დაბოლოს, მეორე წრის წინ თბილისში უნდა ჩამოსულიყო უკრაინელი სპეციალისტი ვიქტორ კანევსკი, რათა გუნდისთვის კონსულტანტობა გაეწია...**

— ვიქტორ კანევსკი თბილისს ამ დღეებში ეწვევა და მთავარ მწვრთნელ ჯემალ მახარაშვილს კლუბის გაძლიერებაში დაეხმარება. მინდა აღვნიშნო, რომ კანევსკი მხოლოდ კონსულტანტის მოვალეობას შეასრულებს.

ვანო ოქროპირიძე

## ინგლისი

### XXV ტური

**ნიუკასლი 4:1 ქოვენთრი**

0:1 ვილანი (18), 1:1 შირერი (19), 2:1 სპიდი (55), 3:1 საჰა (58), 4:1 შირერი (75)
ნიუკასლი: გივენი, შარვე, ჰოუი, დაბიზასი, დომი, ჰამანი, სოლანო, გლასი (ბრედი 65), სპიდი (ბარტონი 86), საჰა (ქეცბაია 74), შირერი
ქოვენთრი: ჰედმანი, ნილსონი, შოუ, კონჯიჩი, ბაროუზი, ბოტენგი, სოლტვედტი (კლემენტი 65), მაკალისტერი, ფროგატი, ჰაკერბი (ალოიზი 75), ვილანი
გაფრთხილება: კონჯიჩი, ბაროუზი, ბოტენგი
მსაჯი: დანი

**მანჩესტერი 1:1 არსენალი**

0:1 ანელკა (47), 1:1 კოული (60)
მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, სტამი, ფ.ნევილი, ბექემი, ბათი (გიგზი 78), კინი, ბლომკვისტი (სქოულზი 61), იორკი, კოული
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ბოულდი, ადამსი, ვინტერბერნი (ვივასი 78), პარლოუ, ჰიუზი, ვიეირა, ოვერმარსი (დიავარა 87), ანელკა, კანუ (გარდე 61)
გაფრთხილება: იორკი, კინი, ვიეირა, ბოულდი
მსაჯი: უილარდი

**ევერტონი 5:0 მიდლსბრო**

1:0, 2:0 ბარმბი (1,16), 3:0 დაკურტი (63), 4:0 მატერაცი (67), 5:0 ანსუორსი (74)
ევერტონი: მირე, ბოლი, ანსუორსი, მატერაცი, დანი, დაკურტი, ბარმბი, ოსტერი (უეირი 73), გრანტი, ჯეფერსი (ბაკაიოკო 76), ჰაჩისონი
მიდლსბრო: შვარცერი, გორდონი, პალისტერი, კუპერი, სტოკდეილი, მასტო, გესქოინი (რიკარდი 71), თაუნსენდი, ვიკერსი (სამერბელი 71), ბეკი, კემპბელი (მედისონი 80)
გაფრთხილება: დაკურტი, ბოლი, თაუნსენდი, პალისტერი, სამერბელი
მსაჯი: ბერგი

**ასტონ ვილა 1:2 ლიდსი**

0:1, 0:2 ჰასელბაინკი (8,32), 1:2 შიმეცა (76)
ასტონ ვილა: ოუქსი, რაიტი, საუთგეიტი, უოტსონი, ტეილორი, მერსონი, ჯოაკიმი, დაბლინი (კოლიმორი 72), ბერი (ტომპსონი 67), ჰენდრი, შიმეცა
ლიდსი: მარტინი, ჰაალანდი, რადებე, ვეზეროლი, კორსტენი, ჰასელბაინკი, ჰოპკინი, ჰალე, კიუელი, ჰარტი, ჯონსი (გრენვილი 82)
გაფრთხილება: ჰასელბაინკი
მსაჯი: გალაჰერი

**ჩელსი 1:1 ბლექბერნი**

1:0 მორისი (44), 1:1 უორდი (84)
ჩელსი: დე გუი, ლამბურდი, დესაი, ლებეფი, ლე სო (ნიუტონი 25), პეტრესკუ (გოლდბეკი 80), მორისი (ფორსელი 88), დი მატეო, ბაბაიარო, ვიალი, ძოლა
ბლექბერნი: ფილანი, კენა, ენჩოსი, ბრუმსი, კროფტი, მაკატირი, დანი, მარკოლინი (გილესპი 46), იანსენი (დაფი 80 (პიკოკი 85), უორდი, სატონი
გაფრთხილება: ლამბურდი, ლებეფი, მორისი, მარკოლინი, სატონი, პიკოკი
გაძევება: ვიალი (84), ბრუმსი (84)
მსაჯი: რენი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 15 |
| ოუენი (ლივერპული) | 14 |
| კოული (მანჩესტერი) | 13 |

**XXVI ტური**

20 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | - | ლესტერი |
| ბლექბერნი | - | შეფილდი |
| ქოვენთრი | - | მანჩესტერი |
| დერბი | - | ჩარლტონი |
| ლიდსი | - | ევერტონი |
| ლივერპული | - | ვესტ ჰემი |
| მიდლსბრო | - | ტოტენჰემი |
| ნოტინგემი | - | ჩელსი |
| საუთჰემპტონი | - | ნიუკასლი |
| უიმბლდონი | - | ასტონ ვილა |

# ზოგჯერ ქულაც ბედნიერებაა

ასოციაციის თასის შეხვედრაში „ბლექბერნთან“ 0:0 დასრულებული მატჩის შემდეგ „ნიუკასლის“ ჰოლანდიელმა თავკაცმა რუუდ გულიტმა თქვა, მიუხედავად შედეგისა, თამაშის ხარისხით კმაყოფილი ვარ, ბიჭები აშკარა პროგრესს განიცდიან და „ნიუკასლიც“ კრიზისს თავს აღწევსო.

„ნიუკასლი“ მართლაც გამოფხიზლდა და თავის გულშემატკივრებს საბოლოოდ შემოუბრუნა გული საყვარელი გუნდისკენ. ბოლო ტურში „ჯორდებმა“ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარეს — „ქოვენთრის“ 4:1 მოუგეს „სენტ ჯეიმსიზ პარკზე“.

სასტარტო შემადგენლობაში ვერ მოხვდა თემურ ქეცბაია, ალან შირერმა კი ძველებურად გაიბრწყინა. ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ორი ბურთიც შეაგდო, საგოლე პასიც გააკეთა და, რაც მთავარია, გუნდის სული და გული, ლიდერი იყო.

თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ. დარენ ჰაკერბის ქროსს პირველი ნოელ ვილანი გამოეხმაურა და ახლო მანძილიდან მარცხენა ფეხით შეი გივენს აულებელი დაურტყა. თუმცა სტადიონზე მისული 36 ათასი ქომაგი დიდხანს არ იყო დაღონებული — სულ რაღაც წუთში შირერმა თავისი კლასი გამოავლინა, ლუის საჰას კარგი პასი ოსტატურად დაამუშავა, ლამაზად ჩამოიცილა ორი ქოვენთრელი მცველი და უძლიერესი დარტყმით ბურთი მაგნუს ჰედმანის კარში მოათავსა.

55-ე წუთზე შირერმა გარი სპიდს გაატანინა, „ნიუკასლი“ დაწინაურდა და მთლიანად სტუმართა ნახევარზე გადაინაცვლა. გულიტის ბიჭების შტურმი სამ წუთში „ქოვენთრის“ კარში მესამე გოლად იქცა — პერუელი ნოლბერტო სოლანოს კუთხურიდან მოწოდებული ბურთი მაროკოელმა საჰამ თავით შეაგდო კარში.

მერე მოედანზე ქეცბაიაც გამოჩნდა, მაგრამ ღირებული არაფერი შეუქმნია, არც იყო აუცილებელი — ქართველის თანაგუნდელები ისედაც გაცილებით სჯობდნენ გორდონ სტრაჩანის შეგირდებს.

თავის მეორე და მატჩის ბოლო გოლი კი შირერმა 75-ე წუთზე გაიტანა — გერმანიის ნაკრების წევრმა დიტმარ ჰამანმა საჯარიმო დარტყმიდან ბურთი გამოცდილ ფორვარდს მიაწოდა, შირერის პირველი დარტყმა ჰედმანმა მოიგერია, მაგრამ დამატებას ვერაფერი მოუხერხა და მეოთხედ წაუხდა ხასიათი.

გახარებული არც პეტერ შმაიხელი იყო „არსენალთან“ შეხვედრის 47-ე წუთზე, „უემბლიზე“ ინგლისის ეროვნული გუნდის კარში ორი (მესამე არ ჩაუთვალეს) ბურთის შემგდებმა ფრანგმა ნიკოლა ანელკამ რომ გაუტანა და სრულიად „ოლდ ტრეფორდს“ თავზარი დასცა.

ყმაწვილმა ასე გაიტანა — „მანჩესტერის“ საჯარიმოს მისადგომებთან სუსტი გულის მქონე ნიგერიელი ნვანკვო კანუ არ შეუშინდა მასთან მივარდნილ მრისხანე გამომეტყველების, მაგრამ მოუხეშავ იაპ სტამს და თავისებური, სხარტი ფინტით ჩამოიშორა. კარშიც დაარტყა, თუმცა ბურთი ერთ-ერთ მანჩესტერელ მცველს მოხვდა, აშკარად პროგრესირებად ანელკასთან მიგორდა და მანაც გამოცდილ შმაიხელს ზედა კუთხეში გაუტანა.

მანამდე, მიმდინარე სეზონში ბრწყინვალე დუაიტ იორკმა პენალტი გააფუჭა, რომელიც 30-ე წუთზე რონი იონსენის წაქცევისთვის დაინიშნა. თბილი ტრინიდადის შვილს ეტყობა ამინდმა შეუშალა ხელი (წვრილად თოვდა), თორემ მისი დონის ფეხბურთელმა ბურთი თერთმეტი მეტრიდან შვიდმეტრიან კარს ორი მეტრით როგორ უნდა ააცილოს, ძნელი გასაგებია.

მაგრამ დაცვაზე ორიენტირებულმა „არსენალმა“ ბურთი მაინც გაუშვა, როდესაც ბლომკვისტის პასის შემდეგ ენდი კოულმა თავით გაიტანა. და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო.

ისე, როგორც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო 25 წუთი ჩაატარა, წლეულს, ალბათ, მსოფლიოს არც ერთ კლუბს არ უთამაშია. მარტო კოულს სულ ცოტა, ხუთჯერ შეეძლო ლონდონელთა დამწუხრება, მაგრამ ტრადიციულად უხეიროდ ურტყამდა.

თავის მხრივ, ინგლისის ნაკრების და „მეთოფეთა“ მეკარე დევიდ სიმენმა კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. არცთუ ახალგაზრდა მეკარე „დაფრინავდა“ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და ჩემპიონმა რომ დედაქალაქში ქულა წაიღო, პირველ რიგში მისი დამსახურებაა.

ერთი სიტყვით, ძალიან კარგი სანახავი შეხვედრა გამოდგა, ისეთი, გულშემატკივარს თვალი და გული რომ გაუხარა და „ინტერის“ ბანაკი, განსაკუთრებით მილანელთა დაცვა დააფიქრა.

— დიდი ბედნიერებაა, მანჩესტერს ქულით რომ ვტოვებთ, თქვა სტუმართა მსოფლიოს ჩემპიონმა ლეგიონერმა პატრიკ ვიეირამ.

მისი თანამემამულე, ლონდონელთა კეთილშობილი თავკაცი არსენ ვენგერი: „როდესაც „მანჩესტერმა“ გაათანაბრა, მივხვდი, რომ შტურმს მოგვიწყობდა და ძალიან გაგვიჭირდებოდა. ასეც მოხდა — მათ გოლის გატანის უამრავი შანსი გაუშვეს ხელიდან. კიდევ კარგი, მატჩი ფრედ დასრულდა, თორემ წაგების შემთხვევაში „მანჩესტერს“ ველარ დავეწეოდით“.

მასპინძელთა მენეჯერმა, ალექს ფერგიუსონმა ტრაფარეტულად დაიწყო:

— შედეგმა დამამწუხრა, თამაშის ხარისხით კი ძალიან კმაყოფილი ვარ. დღეს ისე ვითამაშეთ, როგორც მე და ყველა მანჩესტერელს სურს. არ მეგონა, თუ მეორეს ვერ შევაგდებდით, მაგრამ რას იზამ.

და „ასტონ ვილა“. თუმც მასზე საუბარი უკვე აღარც ღირს — ყველაფერზე ბირმინგემელთა წლევანდელი შედეგები მეტყველებს.

**დავით კოჰზირიძე**



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — არსენალი 1:1. სტუმარ ანელკას გოლის გატანაში რონი იონსენი და პეტერ შმაიხელი (№1) უშლიან ხელს

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 26 | 14 | 9 | 3 | 60:28 | +32 | 51 | 14 | 9 | 4 | 1 | 33:14 | +19 | 31 | 12 | 5 | 5 | 2 | 27:14 | +13 | 20 |
| 2 | ჩელსი | 25 | 12 | 11 | 2 | 36:20 | +16 | 47 | 13 | 8 | 5 | 0 | 19:7 | +12 | 29 | 12 | 4 | 6 | 2 | 17:13 | +4 | 18 |
| 3 | არსენალი | 25 | 12 | 10 | 3 | 29:12 | +17 | 46 | 12 | 7 | 5 | 0 | 16:4 | +12 | 26 | 13 | 5 | 5 | 3 | 13:8 | +5 | 20 |
| 4 | ასტონ ვილა | 25 | 12 | 7 | 6 | 37:27 | +10 | 43 | 13 | 8 | 2 | 3 | 24:17 | +7 | 26 | 12 | 4 | 5 | 3 | 13:10 | +3 | 17 |
| 5 | ლიდსი | 25 | 10 | 9 | 6 | 38:25 | +13 | 39 | 12 | 7 | 3 | 2 | 20:6 | +14 | 24 | 13 | 3 | 6 | 4 | 18:19 | -1 | 15 |
| 6 | ლივერპული | 25 | 11 | 5 | 9 | 47:30 | +17 | 38 | 12 | 7 | 3 | 2 | 31:14 | +17 | 24 | 13 | 4 | 2 | 7 | 16:16 | 0 | 14 |
| 7 | დერბი | 25 | 9 | 10 | 6 | 25:22 | +3 | 37 | 12 | 5 | 5 | 2 | 13:10 | +3 | 20 | 13 | 4 | 5 | 4 | 12:12 | 0 | 17 |
| 8 | ვესტ ჰემი | 25 | 10 | 6 | 9 | 27:36 | -11 | 36 | 13 | 7 | 3 | 3 | 18:19 | -1 | 24 | 12 | 3 | 3 | 6 | 9:17 | -8 | 12 |
| 9 | უიმბლდონი | 24 | 9 | 8 | 7 | 29:35 | -6 | 35 | 12 | 7 | 4 | 1 | 18:11 | +7 | 25 | 12 | 2 | 4 | 6 | 11:24 | -13 | 10 |
| 10 | ნიუკასლი | 25 | 9 | 7 | 9 | 33:33 | 0 | 34 | 13 | 7 | 2 | 4 | 20:16 | +4 | 23 | 12 | 2 | 5 | 5 | 13:17 | -4 | 11 |
| 11 | მიდლსბრო | 25 | 7 | 11 | 7 | 33:36 | -3 | 32 | 12 | 4 | 7 | 1 | 16:10 | +6 | 19 | 13 | 3 | 4 | 6 | 17:26 | -9 | 13 |
| 12 | ტოტენჰემი | 24 | 7 | 10 | 7 | 29:31 | -2 | 31 | 12 | 5 | 5 | 2 | 19:16 | +3 | 20 | 12 | 2 | 5 | 5 | 10:15 | -5 | 11 |
| 13 | ლესტერი | 24 | 7 | 9 | 8 | 25:29 | -4 | 30 | 12 | 5 | 3 | 4 | 17:18 | -1 | 18 | 12 | 2 | 6 | 4 | 8:11 | -3 | 12 |
| 14 | შეფილდი | 24 | 8 | 5 | 11 | 27:23 | +4 | 29 | 12 | 5 | 3 | 4 | 13:7 | +6 | 18 | 12 | 3 | 2 | 7 | 14:16 | -2 | 11 |
| 15 | ევერტონი | 25 | 6 | 9 | 10 | 19:27 | -8 | 27 | 13 | 3 | 7 | 3 | 8:6 | +2 | 16 | 12 | 3 | 2 | 7 | 11:21 | -10 | 11 |
| 16 | ბლექბერნი | 25 | 6 | 8 | 11 | 26:32 | -6 | 26 | 12 | 5 | 3 | 4 | 14:12 | +2 | 18 | 13 | 1 | 5 | 7 | 12:20 | -8 | 8 |
| 17 | ქოვენთრი | 25 | 6 | 6 | 13 | 24:36 | -12 | 24 | 12 | 5 | 4 | 3 | 17:13 | +4 | 19 | 13 | 1 | 2 | 10 | 7:23 | -16 | 5 |
| 18 | ჩარლტონი | 25 | 5 | 8 | 12 | 29:37 | -8 | 23 | 13 | 4 | 4 | 5 | 18:13 | +5 | 16 | 12 | 1 | 4 | 7 | 11:24 | -13 | 7 |
| 19 | საუთჰემპტონი | 24 | 5 | 5 | 14 | 23:47 | -24 | 20 | 12 | 4 | 2 | 6 | 18:21 | -3 | 14 | 12 | 1 | 3 | 8 | 5:26 | -21 | 6 |
| 20 | ნოტინგემი | 25 | 3 | 7 | 15 | 21:51 | -30 | 16 | 12 | 1 | 6 | 5 | 10:21 | -11 | 9 | 13 | 2 | 1 | 10 | 11:30 | -19 | 7 |



ტონი კოტიმ „სანდერლენდს“ ოცნება დაუმსხვრია

## ლიგის თასის ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი

**ლესტერი 1:1 სანდერლენდი**

0:1 ქუინი (34), 1:1 კოტი (54)
ლესტერი: კელერი, ალსორნი, სინკლერი, ელიოტი, უოლში, ტაგარტი (სევიჯი 46), ლენონი, იზეტი, გაპი, კოტი, ჰესკი
სანდერლენდი: სორენსენი, მეკინი, გრეი, ბოლი, მელვილი, ბატლერი, სამერბი (დიკიო 84), კლარკი, ჯონსტონი, ფილიპსი (ბრიჯესი 55), ქუინი
გაფრთხილება: მეკინი, ბატლერი
მსაჯი: ელერეი

ბოლო სამი წლის განმავლობაში „ლესტერი“ მეორედ გავიდა ლიგის თასის ფინალში. 1997-ში გუნდმა ეს ტიტული დაისაკუთრა და იმავეს გაკეთება წლეულსაც შეუძლია. ამისათვის ლესტერელებმა 21 მარტს „უემბლიზე“ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ უნდა მოუგონ.

„ლესტერს“ პირველი მატჩი სტუმრად, პირველი დივიზიონის ლიდერ „სანდერლენდთან“ მოგებული ჰქონდა ვეტერანი ფორვარდის ტონი კოტის ორი გოლის წყალობით 2:1 და შინ „სიტი სტედიუმზე“ მეტოქეს აშკარად მოდუნებული დაუხვდა. ამის შემხედვარე სტუმრებმაც თავიდანვე შეუტიეს და პირველ წუთებში მხოლოდ ირლანდიელ თავდამსხმელ ნილ ქუინს ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ „ლესტერის“ ამერიკელი მეკარე კეისი კელერი შეუვალი იყო.

თუმცა „სანდერლენდის“ შტურმმა შედეგი მაინც გამოიღო — მოედნის სიღრმიდან ლი კლარკმა გამოზომილი პასით მოძებნა ტანმაღალი თანაგუნდელი (ქუინი), ამ უკანასკნელმა ნახტომში მეტ ელიოტს აჯობა და მიმდინარე სეზონში მე-16 გოლი გაიტანა.

მეორე ტაიმში მასპინძლები თავკაცმა მარტინ ონილმა განსხვავებული ტაქტიკით ათამაშა — თავდასხმა გააქტიურა და იმავე კოტიმ 54-ე წუთზე სტადიონზე მისული 24231 ფანი დაამშვიდა — 33 წლის „ვესტ ჰემის“ და „ევერტონის“ ყოფილმა ფორვარდმა „სანდერლენდის“ დანიელი კარის დარაჯი ტომას სორენსენი გააბითურა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა.

მიუხედავად კოტის შესანიშნავი თამაშისა, ლესტერელთაგან საუკეთესო მაინც მეკარე კელერი გახლდათ — სწორედ ამერიკელის მიერ ჩადენილმა სასწაულებმა გაუხსნა გზა მის გუნდს „უემბლისკენ“. მატჩის მიწურულს მან ჯერ ქუინს აუღო ორი ბურთი, შემდეგ კი შეცვლაზე შესული დენი დიკიოს ჯაფაც წყალში გადაყარა.

შეხვედრა 1:1 დასრულდა, ორი მატჩის ჯამში „ლესტერმა“ 3:2 მოიგო და დიდი შანსი აქვს, ერთ თვეში კვლავ დაისაკუთროს ლიგის თასი.

## ესპანეთი

### თასის მეოთხედფინალი

პირველი მატჩები

**რასინგი 2:6 რეალი**

0:1 გუტი (8), 1:1 ვიქტორი (93), 2:1 მუნიტისი (13), 2:2 იერო (313), 2:3 ზეედორფი (36), 2:4 სავიო (40), 2:5 გუტი (45), 2:6 მორიენტესი (90)
რასინგი: სებალოსი, მელბერგი, არსენო, ნერუ, ტაისი (ისმაელი 46), ვიქტორი, ვივარ დორადო, ამავისკა, მაგალანეში, მუნიტისი, ბესჩასტნიხი (პრესიადო 46)
რეალი: კონტრერასი, პანუჩი, იერო, ივან კამპო (კარანკა 46), იარნი, ზეედორფი, სანჩისი, რაული (მორიენტესი 46), გუტი, კარემბუ, სავიო
გაფრთხილება: ვიქტორი, პანუჩი, ივან კამპო, კარანკა, ზეედორფი
მსაჯი: ბრიტო არსეო

პირველ ნახევარში, 15 წუთში გატანილმა ოთხმა გოლმა შეხვედრას არაოფიციალურად დაუსვა წერტილი. როცა გუნდი შინ, შესვენებამდე სამი ბურთის სხვაობით მარცხდება, თან საგრძნობლად ძლიერ მეტოქესთან, ძნელია, შესვენების შემდგომ რაიმე ილონო და მატჩი გადაარჩინო.

მიუხედავად იმისა, რომ 13 წუთის შემდეგ სამეფო კლუბი „ესტადიო ელ სარდინეროზე" მდევრის როლში აღმოჩნდა, მადრიდელებმა შეძლეს მობილიზება და გახარებულ „რასინგს" ისეთი დღე აყარეს, მტერს არ უსურვებს კაცი.

რვა გოლი ერთ შეხვედრაში! ასეთი შედეგიანობა მუდამ იშვიათობა იყო, ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რვიდან ექვსი გოლი მასპინძელმა „რასინგმა" გაუშვა, ნათელი გახდება, რომ ამგვარი რამ ძალიან იშვიათობაა.

ანგარიში გუტიმ კი გახსნა, მაგრამ სანტანდერელებმა უმალ გაუყაიმეს — სტუმართა იტალიელმა მცველმა კრისტიან პანუჩიმ და მეკარე პედრო კონტრერასმა ემილიო ამავისკა წააქციეს და პენალტითაც დაისაჯნენ. ვიქტორის გოლის მერე მუნიტისმა დააწინაურა „რასინგი". აი, ყოველივე ამის შემდეგ დაიწყო საშინელება: იერო, ზეედორფი, სავიო და გუტი ერთიმეორის მიყოლებით უმოწყალოდ უსწორდებოდნენ მასპინძლებს. საბოლოოდ პირველ ტაიმში ანგარიში 2:5 გახდა, შეხვედრის დასასრულს კი სულაც 2:6. მსაჯის დამატებულ დროში ფერნანდო მორონტესმაც გამოიჩინა თავი.

სხვათა შორის, მასპინძელთა პირველი გოლის ავტორი ვიქტორი და სტუმართათვის პენალტის დამტყუებელი ამავისკა ნახევარი წლის წინ „რეალის" ფეხბურთელები იყვნენ.

საპასუხო შეხვედრამ ფაქტობრივად აზრი დაკარგა. არავის გაუკვირდება, თუ „რასინგი" მადრიდელებს „სანტიაგო ბერნაბეუზე" მოუგებს.

**ატლეტიკო 2:1 ესპანიოლი**

0:1 მარტინ პოსე (34), 1:1 კორეა (58), 2:1 ჟუნინიო (84)
ატლეტიკო: მოლინა, აგილერა, შამოტი, ტონი, ტორიზი, რამონი (ხოსე მარი 46), ვენტურინი, ლარდინი, რობერტო, ჟუნინიო, კორეა
ესპანიოლი: ტონი, კრისტობალი, ნადი, ელგერა, კაპდევილა, სერხიო, გალკა, ნან რიბერა, არტეგა, მარტინ პოსე, ბენიტესი
გაფრთხილება: გალკა
მსაჯი: დიას ვეგა

ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ატლეტიკო" სწორედ „ესპანიოლთან" დამარცხდა, რასაც მადრიდული კლუბის იტალიელი მწვრთნელის არიგო საკის გუნდიდან წასვლა მოჰყვა. ოთხ დღეში „ატლეტიკომ" „ესპანიოლს" კვლავ უმასპინძლა და ამჯერად იმარჯვა, თან იმავე ანგარიშით, როგორითაც დამარცხდა.

ჟუნინიო დაბრუნდა! ხესუს ხილი ხილმა, „ატლეტიკოს" პრეზიდენტმა, ჟურნალისტებთან საუბრისას გამთამაშებელზე განაცხადა, იგი ჩვენი კლუბის ლიდერად მიმაჩნიაო. ჟუნინიო მართლაც „ატლეტიკოს" ლიდერია — პირველ წუთებში ძირითად შემადგენლობაში გამწესებულმა ტანმორჩილმა ბრაზილიელმა უდიდესი საქმე აკეთა, შეხვედრის მიწურულს კი გამარჯვების მომტანი გოლიც გაიტანა.

— მე ჩემ დროს ველოდი. მჯეროდა, რომ შემეძლო კლუბისთვის გამარჯვების მოტანა და თქვენც ხედავთ, რომ მართალი ვიყავი — განაცხადა ჟუნინიომ.

შეხვედრა საკმაოდ კორექტულად წარიმართა. ესპანეთში უკომპრომისო მსაჯად ცნობილმა მანუელ დიას ვეგამ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, ისიც სტუმართა რუმინელი ლეგიონერი კონსტანტინ გალკა გააფრთხილა.

საინტერესოა, რომ სამივე გოლი სამხრეთამერიკელებმა გაიტანეს — ჯერ იყო და „ესპანიოლის" არგენტინელმა თავდამსხმელმა მარტინ ანდრეს პოსემ გახსნა ანგარიში, შემდეგ მადრიდელთა ურუგვაელმა ფორვარდმა ფერნანდო კორეა აიალამ გააყაიმა, სულ ბოლოს კი ბრაზილიელმა ოსვალდო ჟირალდო ჟუნიორმა, იგივე ჟუნინიომ, მეორედ შეარხია სტუმართა კარის ბადე.

**მალიორკა 1:1 დეპორტივო**

0:1 ჯალმინია (55), 1:1 დანი (72)
მალიორკა: როა, ოლაისოლა, მარსელინო, რივიერო, მ. სოლერი, ენგონგა, ფ. სოლერი, პინედა, ლორენი, ბიანჯინი, დანი
დეპორტივო: სონგო, არმანდო, ნაიბეტი, შურერი, რომერო, მაურო სილვა, ფლავიო, ჰაჯი, ფრანი, ჯალმინია, ტურუ ფლორესი
გაფრთხილება: ლორენი, დანი, სონგო
მსაჯი: იტურალდე გონსალესი

ესპანეთის თასის შარშანდელი გათამაშების ფინალისტი „მალიორკა" მარცხისგან ქვეყნის ნაკრების თავდამსხმელმა დანი გარსიამ იხსნა.

მალიორკელებს აშკარად ეტყობათ, რომ მათ თასზე მეტად ჩემპიონატი აინტერესებთ. ლა კორუნიის „დეპორტივოს" თავდამსხმელებს მეტი მონდომებით და ყურადღებით რომ ეთამაშათ, ისინი მასპინძლებს აუცილებლად დაამარცხებდნენ, თუმცა ბრაზილიელი ჯალმინიას გარდა ვერავინ მოახერხა არგენტინის ნაკრების და „მალიორკას" მეკარის როას გაწბილება.



ატლეტიკო — ესპანიოლი 2:1. მადრიდელი ვენტურინი (მარჯვნივ) სერხიოს ებრძვის

**ირაკლი ილაშვილი**

# წითელი შეხვედრა სან სიროზე

## იტალია

### თასის ნახევარფინალი.

პირველი მატჩი

**ინტერი 0:2 პარმა**

0:1 ვერონი (76), 0:2 ბალბო (86)
ინტერი: პალიუკა, კოლონეზე, ბერგომი, გალანტე, ძანეტი, ვინტერი (პირლო 64, ვესტი 80), კოე, სიმეონე, მილანეზე (ჟილბერტო 45), ჯორკაეფი, ვენტოლა
პარმა: ბუფონი, სარტორი, ტურამი, კანავარო, სტანიჩი, ფუზერი (ორლანდინი 81), ლონგო (ფიორე 64), ვანოლი, ვერონი, ბალბო, ასპრილია
გაფრთხილება: ფუზერი
გაძევება: ბერგომი, კოლონეზე, ძანეტი (77)
მსაჯი: ბრასკი

მილანში, მშობლიურ „სან სიროზე", ამბიციურმა „ინტერმა" მეზობელი ქალაქის გუნდთან, „პარმასთან", 0:2 წააგო. შავ-ლურჯებმა შეხვედრა რვა კაცის შემადგენლობით დაასრულეს — სულ რაღაც ორწუთიან მონაკვეთში არბიტრმა მასპინძლებს სამი ფეხბურთელი გაუძევა მოედნიდან.

შეხვედრის დამთავრებამდე, 14 წუთით ადრე ანგარიში პარმელთა არგენტინელმა ნახევარმცველმა, ხუან ვერონმა გახსნა. მისი დარტყმა ძალიან ლამაზი გამოდგა: საჯარიმოს კუთხიდან, დიაგონალური, მარჯვენა ფეხით ბურთი ხეირიანად შეფრენილიც არ იყო ინტერელთა კარის ბადეში, რომ მსაჯს, სტეფანო ბრასკის, შავ-ლურჯ ფორმიანთა მთელი ჯგუფი შემოეხვია. მილანელები ასაბუთებდნენ, რომ ვერონის გადამწყვეტ დარტყმამდე სტუმრებმა თამაშის წესი დაარღვიეს. კერძოდ, მათი მტკიცებით, პარმელმა მცველმა, პაოლო ვანოლიმ, „ინტერის" ფრანჩესკო კოლონეზეს წინააღმდეგ იუხეშა, მაგრამ მსაჯმა ეს ვერ შენიშნა, რის გამოც ვანოლიმ კომბინაცია განაგრძო, პასი გადააწოდა ფაუსტინიო ასპრილიას, რომელმაც, თავის მხრივ, ვერონს გაუწია ასისტენტობა.

სატელევიზიო გამეორებებმა დაადასტურა, რომ „ინტერის" ფეხბურთელები სრულიად მართალნი იყვნენ. აყალმაყალის ჩასაცხრობად ბრასკიმ წითელ ბარათს მიმართა. მისი პირველი მსხვერპლი ვეტერანთ ვეტერანი, „ინტერის" კაპიტანი, ჯუზეპე ბერგომი შეიქნა. წითელი ფერის დანახვამ, უსამართლოდ დაჩაგრული შავლურჯები მთლად გააცეცხლა და შედეგად მეორე გაძევება მოიმკეს: გასახდელის გზას კოლონეზე დაადგა.

გგონიათ, „ინტერის" მოთამაშეები ამან დაამშვიდა? პირიქით, დავა-კამათმა უმაღლეს წერტილს მიაღწია და საბოლოოდ, შეხვედრის განახლებამდე, მოედანი არგენტინელმა ხავიერ ძანეტიმაც დატოვა.

ასეთი რიცხობრივი უპირატესობა „პარმას", ბუნებრივია, ფრთებს შეასხამდა: მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე სტუმართა არგენტინელმა თავდამსხმელმა, აბელ ბალბომ, თავური დარტყმით მეორე გოლი გაუტანა კალაპოტიდან ამოვარდნილ მილანელებს.

მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში ბალბომ ძელსაც მოარტყა ბურთი.

საფინალო სასტვენის შემდეგ, „სან სიროს" მინდორი ტრიბუნიდან ნასროლმა ფორთოხალმა და პლასტმასის ჭიქებმა დაფარა, არბიტრი, სტეფანო ბრასკი კი მოედნიდან საგანგებო დაცვამ გააცილა.

„არ ვიცი, რატომ გამოიწვია გოლმა ასეთი გაუგებრობა. მე თუ მკითხავთ, ეს იყო ჩვეულებრივი ეპიზოდი, რომლის მაგვარსაც, როგორც წესი, ტაშს უკრავენ" — განაცხადა „პარმას" გოლკიპერმა ჯანლუიჯი ბუფონმა.

მეტოქეები საპასუხო შეხვედრას, 10 მარტს, პარმაში გამართავენ. გამარჯვებული „ფიორენტინასა" და „ბოლონიას" შორის უძლიერესს შეხვდება.



პარმელი ფაუსტინო ასპრილია აარონ ვინტერს მოსვენებას არ აძლევდა

## ჰოლანდია

### გადადებული მატჩები

**ჰერენვენი 2:2 აიაქსი**

1:0 ოლისე (4ს.კ.), 1:1 ბაბანგიდა (50), 1:2 ოლისე (53), 2:2 პალპლატსი (81)

**ნაიმეგენი 0:3 ტილბურგი**

0:1 ბომბარდა (27), 0:2 ოსტერჰოფი (46ს.კ.), 0:3 რამზი (89)

**ვალვაიკი 0:0 სიტარდი**

**ვიტესი 3:1 ბრედა**

1:0 მახლასი (23), 1:1 სიეკოვი (30), 2:1 ვან ჰინტუმი (41), 3:1 ამოაჰი (76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 18 | 13 | 4 | 1 | 42:15 | 43 |
| ვიტესი | 20 | 12 | 4 | 4 | 39:24 | 40 |
| აიაქსი | 21 | 9 | 8 | 4 | 39:20 | 35 |
| როდა | 19 | 10 | 4 | 5 | 35:24 | 34 |
| ჰერენვენი | 20 | 9 | 7 | 4 | 32:24 | 34 |
| ტვენტე | 21 | 9 | 6 | 6 | 31:28 | 33 |
| ეინდჰოვენი | 19 | 8 | 7 | 4 | 45:34 | 31 |
| ალკმაარი | 20 | 7 | 10 | 3 | 31:26 | 31 |
| ტილბურგი | 21 | 9 | 4 | 8 | 37:37 | 31 |
| უტრეხტი | 20 | 8 | 4 | 8 | 36:35 | 28 |
| ნაიმეგენი | 22 | 7 | 7 | 8 | 31:36 | 28 |
| კამბური | 19 | 5 | 6 | 8 | 22:34 | 21 |
| მაასტრიხტი | 20 | 5 | 6 | 9 | 25:34 | 21 |
| სიტარდი | 21 | 5 | 6 | 10 | 24:35 | 21 |
| გრააფსხაპი | 20 | 3 | 10 | 7 | 20:31 | 19 |
| სპარტა | 20 | 4 | 3 | 13 | 22:40 | 15 |
| ბრედა | 20 | 3 | 4 | 13 | 23:37 | 13 |
| ვალვაიკი | 21 | 2 | 6 | 13 | 23:43 | 12 |

## შოტლანდია

### XXIV ტურის

გამოტოვებული მატჩი

**სელტიკი 1:0 კილმარნოკი**

1:0 რისეტი (49)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 24 | 16 | 5 | 3 | 50:21 | 53 |
| სელტიკი | 24 | 12 | 7 | 5 | 53:22 | 43 |
| კილმარნოკი | 24 | 11 | 8 | 5 | 31:15 | 41 |
| სტ. ჯონსტონი | 24 | 9 | 9 | 6 | 29:33 | 36 |
| მოზერველი | 24 | 7 | 8 | 9 | 23:30 | 29 |
| აბერდინი | 24 | 7 | 6 | 11 | 27:40 | 27 |
| დანდი | 24 | 7 | 6 | 11 | 21:36 | 27 |
| ჰართსი | 24 | 6 | 6 | 12 | 22:34 | 24 |
| დანდი იუნ. | 24 | 5 | 8 | 11 | 23:29 | 23 |
| დანფერმლაინი | 24 | 2 | 13 | 9 | 18:37 | 19 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# იქნებ ქართველებმა უშველონ

## გერმანია

ორთვიანი შესვენების შემდეგ დღეს ბუნდესლიგის ჩემპიონატი განახლდება. პირველი წრის შემდეგ გათამაშებას გერმანიის ყველაზე ტიტულიანი კლუბი მიუნხენის „ბაიერნი“ ლიდერობს და უახლოეს მდევარ „ლევერკუზენს“ ქულათა სოლიდური სხვაობითაც უსწრებს. ძნელი წარმოსადგენია, კრისტოფ დაუმის შეგირდებმა დარჩენილ თექვსმეტ ტურში მიუნხენელებთან რვაქულიანი დეფიციტი აღმოფხვრან. ამის თქმის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, „ბაიერნის“ თამაში გვაძლევს. მიუნხენელები თავიდანვე სათავეში ჩაუდგნენ ცხრილს და იქიდან მხოლოდ ერთხელ, მეთექვსმეტე ტურში ჩამოქვეითდნენ. მაშინაც გალიდერებულმა „ლევერკუზენმა“ ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით გაუსწრო „ბაიერნს“, თანაც მიუნხენელებს ერთი მატჩით ნაკლები ჰქონდათ გამართული.

ბავარიელებმა მოსამზადებელი პერიოდიც ნაყოფიერად გამოიყენეს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა ფეხბურთელები 11 იანვარს შეკრიბა, 17-ში კი ესპანეთს აწვია და ერთკვირიანი შეკრება მოუწყო. მანამდე „ბაიერნმა“ მიუნხენში გამართული მინი-ფეხბურთის ტურნირიც მოიგო. „ზამთრის არდადეგები, ვფიქრობ, კარგად გამოვიყენეთ. სხვა გზა არც გვქონდა, წინ ხომ ურთულესი ბრძოლები გველის. სწორედ ახლა უნდა დავამტკიცოთ ჩვენი სიძლიერე“ — განაცხადა ფრანგულ „სტრასბურთან“ ამ სამშაბათს გამართული მატჩის შემდეგ ჰიტცფელდმა. ეს თამაში „ბაიერნმა“ 2:0 მოიგო. ჰიტცფელდის თქმისა არ იყოს, „ბაიერნს“ მართლაც რთული გზა აქვს გასავლელი. მიუნხენელები ჩემპიონობის გარდა გერმანიისა და ევროპის ჩემპიონთა თასსაც უმიზნებენ და ყველგან წარმატების მიღწევა აქვთ დასახული მიზნად. წარმატებად კი გუნდისთვის, ბუნებრივია, მხოლოდ ჩემპიონობა და თასების მოპოვება ჩაითვლება. თანაც, ახლა მიუნხენელებს მეჰმეთ შოლიც დაეხმარებათ, რომელიც მძიმედ იყო დაშავებული და ამის გამო თითქმის შვიდი თვე არ უთამაშია. ტრავმები ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა და განელმა სამუელ კუფურმაც მოირჩინეს. ასე რომ, „ბაიერნი“ სეზონის განახლებას სრულ მზადყოფნაში ხვდება.

ქართველ გულშემატკივრებს „ბაიერნზე“ მეტად, ალბათ, ჩვენებურთა „ფრაიბურგის“ ბედი აწუხებთ. ეს გუნდი მართლაც მძიმე მდგომარეობაშია — იაშვილის გარდა კიდევ ორი თავდამსხმელი, ვასმერი და ვაისჰაუპტიც ტრავმირებულია, მიხეილ ფრონცეკი კი „მიონხენგლადბახში“ გადავიდა. ფრაიბურგელთა თავკაცი ფოლკერ ფინკე შეტევაში, ფაქტობრივად, ტუნისელი ბენ სლიმანის იმედადაა დარჩენილი. უკეთ მომზადების მიზნით კლუბის ხელმძღვანელობამ ორი თითო-თითო კვირიანი შეკრება მოაწყო პორტუგალიურ ალბუფეირაში. ფრაიბურგელები მეორედ იქიდან 10 თებერვალს დაბრუნდნენ, 13-ში კი „ლუცერნს“ შეხვდნენ ამხანაგურად და ლევან კობიაშვილის გოლის წყალობით 1:0 დაამარცხეს შვეიცარიელები. კარგად შეეწყო გუნდს მესამე ქართველი ლევან ცქიტიშვილი. მისით ფინკეც კმაყოფილია, თქვა კიდეც, ცქიტიშვილი კობიაშვილთან განსაკუთრებით კარგადაა შეთამაშებული და მათი დიდი იმედი მაქვსო. მართალია, ამჟამად „ფრაიბურგი“ მეათე ადგილზეა, მაგრამ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისათვის გვარიანი ოფლისღვრა მოუწევს, რადგან აუტსაიდერებისაგან სულ რამდენიმე ქულა აშორებს.

„ბაიერნისა“ და „ფრაიბურგის“ მსგავსად უცხოური შეკრებები (ქართული კლუბებისგან განსხვავებით) არც დანარჩენ თექვსმეტ გუნდს დაჰკლებია. მეორე ადგილზე მყოფმა „ლევერკუზენმა“ ევროპას სამხრეთ ამერიკაში წასვლა არჩია. გუნდის მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა ფეხბურთელები ჯერ ურუგვაიში მოამზადა, შემდეგ ბრაზილიაში. გერმანიაში დაბრუნებულმა ლევერკუზენელებმა ცოტა ხნის წინ მიხეილ ყაველაშვილის „გრასჰოპერთან“ გამართეს საკონტროლო შეხვედრა და 2:1 გაიმარჯვეს. ყაველაშვილს ტრავმის გამო არ უთამაშია. „ლევერკუზენი“ ალბათ, „ბაიერნისთვის“ კონკურენციის გაწევას შეეცდება, მაგრამ გუნდის მიზანი მაინც მეორე ადგილზე დამკვიდრება და ჩემპიონთა ლიგის მომავალ გათამაშებაში ადგილის დაბევება იქნება, მით უმეტეს, მდევარ კაიზერსლაუტერნს“ სულ ორი ქულით უსწრებს.



ოტმარ ჰიტცფელდს (მარცხნივ) და შტეფან ეფენბერგს წინ რთული გზა ელით

შარშანდელ ჩემპიონ „კაიზერსლაუტერნს“, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ტიტულის დათმობა მოუწევს. გუნდი მიმდინარე სეზონში არასტაბილურად თამაშობს, ვერც ლიდერები ოლაფ მარშალი და ჩირიაკო სფორცა ჰყავს ძველებურ ფორმაში. „ლაუტერნის“ მწვრთნელი ოტო რეჰაგელიც, ალბათ, „ბაიერნის“ მეორე ფრონტზე ძლევას შეეცდება. 3 მარტს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ერთმანეთს ხომ სწორედ ეს ორი გერმანული კლუბი დაუპირისპირდება.

„მიუნხენ 1860“-მა სეზონი რიხიანად დაიწყო, მაგრამ შემდეგ მნიშვნელოვნად უკლო თამაშს. მისმა მწვრთნელმა ვერნერ ლორანტმა გუნდის გასაძლიერებლად ორი ახალი ფეხბურთელიც შეიძინა: ჩეხური პრაღის „სპარტადან“ ნახევარმცველი მარტინ ჩიჟეკი გადაიბირა, ფრანგული „ოსერიდან“ კი აველუ ოსაკა. სამაგიეროდ, იუგოსლავიელი მიროსლავ სტევიჩი დაუთმო ცხრილში მეზობელ დორტმუნდის „ბორუსიას“.

დორტმუნდელებმა სტევიჩის გარდა კიდევ ერთი ფეხბურთელი დაიმატეს. პირველი წრის დასრულების შემდეგ შოტლანდიურ „რეინჯერსში“ გადასული შტეფან კლოსის ნაცვლად „მილანიდან“ არანაკლებ ძლიერი მეკარე იენს ლემანი გადაიყვანეს. დეკემბრის ბოლოს „დორტმუნდში“ დიდი არეულობა მოხდა. მთავარ მწვრთნელ მიხაელ სკიბეს წამყვანი ფეხბურთელები (ჰერლიხი, სალუ, შაპუიზა, ბარბარესი და ჰესლერი) აუმხედრდნენ, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ შეძლო კონფლიქტის დროულად მოგვარება.

ძალიან დაძაბული მდგომარეობაა ცხრილის მეორე ნახევარში. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა, პირველი ბუნდესლიგის დატოვება მოუწევს უეფას თასის ორგზის მფლობელ „მიონხენგლადბახს“, რომელმაც 18 მატჩიდან მხოლოდ ორის მოგება შეძლო და ცხრილის ბოლოშიც მყარადაა დამკვიდრებული.

„ნიურნბერგმა“, რომელსაც გლადბახელთა და როსტოკელთა შემდეგ ყველაზე მეტი გოლი აქვს გაშვებული, რომ არ გავარდეს, ერთ დროს გერმანიის ნაკრების მეკარე, 36 წლის ანდრეას კიოპკე შეიძინა „მარსელიდან“.

გაუჭირდება „შალკეს“, გელზენკირხენელებს „გაჭირვების ტალკვესი“ მარკ ვილმოტსი ჰყავთ შეუძლოდ. ბელგიელი შემტევი ნახევარმცველი ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ საკონტროლო მატჩში მძიმედ დაშავდა და ახლა დაახლოებით ორი თვე მოუწევს უქმად ყოფნა. მიუხედავად ამისა, კლუბის თავკაცი ჰუუბ სტევენსი იმედით შეჰყურებს მომავალს, ისევე, როგორც დანარჩენი მწვრთნელები. წინასასეზონო მზადებით ყველა კმაყოფილია და სწამთ, თავიანთ მიზანს მიაღწევენ. ბუნდესლიგის კლუბების მწვრთნელთაგან ყველაზე მოკრძალებულ შედეგს მაინც „ფრაიბურგის“ თავკაცი ფინკე ისახავს. იგი ჩემპიონატის დასაწყისიდანვე იმას გაიძახის, ჩვენი გეგმა მეთხუთმეტე ადგილზე გასვლააო. იმედია, ქართველი ფეხბურთელების დახმარებით ფინკე გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს.

**ვანო ოქროპირიძე**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| პრეეტცი (ჰერტა) | 11 |
| იუსკოვიაკი (ვოლფსბურგი) | 11 |
| ელბერი (ბაიერნი) | 11 |

### XIX ტური

19 თებერვალი

ბოხუმი - ჰამბურგი (0:1)

ვოლფსბურგი - ჰანზა (3:3)

20 თებერვალი

მიუნხენი - აინტრახტი (3:2)

შტუტგარტი - შალკე (0:1)

ჰერტა - დორტმუნდი (0:3)

ნიურნბერგი - ვერდერი (3:2)

ლევერკუზენი - ფრაიბურგი (1:1)

დუისბურგი - ბაიერნი (1:3)

21 თებერვალი

გლადბახი - ლაუტერნი (1:2)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 18 | 14 | 2 | 2 | 43:13 | 44 |
| ლევერკუზენი | 18 | 10 | 6 | 2 | 40:18 | 36 |
| ლაუტერნი | 18 | 10 | 4 | 4 | 29:28 | 34 |
| მიუნხენ 1860 | 18 | 9 | 5 | 4 | 32:24 | 32 |
| დორტმუნდი | 18 | 8 | 5 | 5 | 28:18 | 29 |
| ჰერტა | 18 | 9 | 2 | 7 | 26:19 | 29 |
| ვოლფსბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 34:28 | 27 |
| ჰამბურგი | 18 | 6 | 6 | 6 | 23:23 | 24 |
| ვერდერი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:25 | 23 |
| ფრაიბურგი | 18 | 5 | 7 | 6 | 21:23 | 22 |
| შტუტგარტი | 18 | 5 | 6 | 7 | 23:25 | 21 |
| შალკე 04 | 18 | 5 | 6 | 7 | 20:29 | 21 |
| დუისბურგი | 18 | 4 | 7 | 7 | 20:29 | 19 |
| ბოხუმი | 18 | 5 | 4 | 9 | 22:33 | 19 |
| აინტრახტი | 18 | 4 | 5 | 9 | 21:29 | 17 |
| ჰანზა | 18 | 3 | 7 | 8 | 26:34 | 16 |
| ნიურნბერგი | 18 | 2 | 9 | 7 | 20:33 | 15 |
| გლადბახი | 18 | 2 | 4 | 12 | 20:44 | 8 |


სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს

უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი

☎ 99 67 67, 98 30 20


# ყველას უხარია

ალან შირერი, ინგლისის ნაკრების კაპიტანი, ფეხბურთელი, რომელიც „ნიუკასლ იუნაიტედმა“ კევინ კიგანის მწვრთნელობისას იყიდა: ძალიან გამიხარდა მწვრთნელად სწორედ კევინ კიგანი რომ დაამტკიცეს. იგი ბეჯითია, მშრომელი და ყველაფერ ამასთან ერთად ზედმიწევნით კარგად იცის საქმე. ინგლისის ნაკრები კიგანის ხელში, ჩემი აზრით, სულ სხვაგვარი იქნება. არა, მე მის წინამორბედ მწვრთნელებს სულაც არ ვუყრი წყალში ამაგს, უბრალოდ, მგონია, რომ კიგანის ინგლისი სხვებისგან ძალიან განსხვავებული იქნება.

ტომი სმიტი, კიგანის თანაკლუბელი „ლივერპულში“: ჰოდლისგან განსხვავებით, კევინ კიგანი შესანიშნავი პიროვნებაა. მიხარია, რომ ქვეყნის პირველი გუნდის სათავეში მივიდა კაცი, რომელსაც ფეხბურთი აინტერესებს და არა ის, თუ ვინ ვინ იყო წინა ცხოვრებაში.

გევინ პიკოკი, კიგანის „ნიუკასლში“ მუშაობისას გუნდის ერთ-ერთი ლიდერი: კიგანმა იცის, როგორ მიუდგეს ფეხბურთელებს. ერთხელ, რომელიღაც მნიშვნელოვანი თამაშის წინ, თავისი და ბილ შენკლის საუბარი მომიყვა, მერე კი მთხოვა, რომ გუნდისთვის ყველაფერი გამეღო. მან დამარწმუნა, რომ შემეძლო შეხვედრაში გარდატეხის შეტანა. მისი სიტყვების შემდეგ თავს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ვგრძნობდი.

ბობი რობსონი, ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი: ინგლისი კიგანის ხელში კარგ გუნდად ჩამოყალიბდება. მე ამაში დარწმუნებული ვარ. მისი „ნიუკასლი“ შესანიშნავი გუნდი იყო და მჯერა კიგანის ინგლისიც ასეთივე იქნება. თუ ჩემი გჯერათ, გეტყვით, რომ კიგანი, თუ მას მუშაობის უფლება გაუგრძელეს, ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდი უმაღლესი მიზნებისთვის მებრძოლ კოლექტივად ჩამოაყალიბებს.

უეინ კოლინზი, კიგანის „ფულემის“ მცველი: მას ორი ძალიან დადებითი მხარე აქვს. ჯერ ერთი, მას უდიდესი მოტივაცია გააჩნია და გინდა, არ გინდა ბრძოლისთვის განგაწყობს, მეორეც — მისთვის არ არსებობს ჭოჭმანი. ის არ გეტყვის — „შეძლებ ამის გაკეთებას?“ იგი პირდაპირ გეუბნება — „შენ ამას გააკეთებ!“ კიგანი შესანიშნავი მწვრთნელი და [illegible]

ასე გამოეხმაურნენ კევინ კიგანის ინგლისის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშვნას, ნისლიან ალბიონზე თავის დროზე გენიალური ფეხბურთელის ნაკრების თავკაცად მოსვლას ხალხი სიხარულით შეხვდა.

დრო ყველაფერს გაარკვევს. კიგანი საკლუბო დონეზე მართლაც კარგი მწვრთნელი იყო, სადაც მივიდა, ყველა კლუბი აღაზევა, მაგრამ ნაკრები მაინც სხვაა.

ინგლისის ნაკრები, ჯერჯერობით დაგეგმილი კალენდრის მიხედვით, კევინ კიგანის თავკაცობით ოთხ შეხვედრას გამართავს: 27 მარტს პოლონეთთან, 28 აპრილს უნგრეთთან, 5 ივნისს ბულგარეთთან და 9 ივნისს შვედეთთან. ამ ოთხიდან სამი მატჩი, უნგრეთის გარდა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ეგიდით გაიმართება. კიგანის მომავალს ინგლისის ნაკრებში ეს თამაშები განსაზღვრავენ.

გუშინ ინგლისის დედაქალაქში კიგანმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ეს თქვა:

— ინგლისში ეროვნული გუნდის გაწვრთნა უდიდეს პატივად ითვლება და ძალიან მიხარია, რომ დღესდღეობით ამ თანამდებობაზე ამირჩიეს, მაგრამ მე „ფულემთან“ კონტრაქტი მაქვს გაფორმებული და ხელშეკრულების დარღვევა ჩემს პრინციპებს ეწინააღმდეგება. ასე რომ, როგორც კი ინგლისის ნაკრების თავკაცის პოსტს დავტოვებ, იმ დღესვე „ფულემში“ მუშაობას გავაგრძელებ...

...არ მიყვარს სიტყვა „დროებით“. თუმცა, არ გეგონოთ, ამ პერიოდში ჰოვარდ უილკინსონს მივატოვებ — ჩვენ ამიერიდან ერთად ვიქნებით და ერთი მიზანი გვექნება. იმასაც ვიტყვი, რომ ჰოვარდი უდიდესი მწვრთნელია...

...პირველ მატჩს 27 მარტს გავმართავთ „უემბლიზე“ პოლონელებთან. მერე კიდევ სამ შეხვედრაში ვუხელმძღვანელებ ინგლისის ნაკრებს, რაც იმას ნამდვილად არ ნიშნავს, რომ საქმეს უდიერად მოვეკიდები. ასეთი რამ არ მჩვევია. რაც კი გამოცდილება და ცოდნა მაქვს, სრულად მოვახმარ თანამემამულეებს. ვინც მიცნობს, იმან ეს ყველაფერი მშვენივრად უწყის...



სარბიელის არქივიდან

ჰოვარდ უილკინსონი და კევინ კიგანი ლონდონური პრესკონფერენციის შემდეგ

# პელეც იქ იქნება, პლატინიც და ვეაც

ფიფას საგანგებო კომისია ორშაბათს, 22 მარტს, ციურიხში გამართავს სხდომას, რომელზეც მსოფლიოს ჩემპიონატების ორ წელიწადში ერთხელ გამართვასა და სხვა საკითხებს განიხილავს.

კომიტეტს 20 წევრი ჰყავს, რომელთა შორის არიან წარსულისა და თანამედროვეობის ცნობილი ფეხბურთელები: პელე, ბობი ჩარლტონი, მიშელ პლატინი, ჟორჟ ვეა და ქალთა ფეხბურთის ვარსკვლავი მიშელ აკერსი.

როგორც მოგახსენეთ, კომიტეტის წევრები, გარდა უმთავრესი საკითხისა, სხვა თემებსაც შეეხებიან. კერძოდ, საუბარი იქნება მოთამაშეების ნაკრებების მატჩებში მონაწილეობისთვის კლუბებიდან განთავისუფლებაზე, შეჯიბრებების კალენდართა შეთანხმებაზე, ახალგაზრდობის პრობლემებსა და აგენტების როლის გამოკვეთაზე. განიხილავენ დარბაზისა და ქალთა ფეხბურთის საკითხებსაც.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIX ტური

19 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოხუმი — ჰამბურგი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ვოლფსბურგი — ჰანზა | 1,5 | 3,3 | 6,0 |

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიურნბერგი — ვერდერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ლევერკუზენი — ფრაიბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ჰერტა — დორტმუნდი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| დუისბურგი — ბაიერნი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| მიუნხენ 1860 — აინტრახტი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| შტუტგარტი — შალკე | 1,7 | 3,1 | 4,4 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიონხენგლადბახი — კაიზერსლაუტერნი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

### გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა

(გადადებული მატჩები)

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — ჰანოვერი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კიკერსი — ზანქტ პაული | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVI ტური

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ლესტერი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბლექბერნი — შეფილდ უენსდეი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ქოვენთრი — მანჩესტერი | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| დერბი — ჩარლტონი | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ლიდსი — ევერტონი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ლივერპული — ვესტ ჰემი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| მიდლსბრო — ტოტენჰემი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ნოტინგემი — ჩელსი | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| საუთჰემპტონი — ნიუკასლი | 2,5 | 2,9 | 2,5 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| უიმბლდონი — ასტონ ვილა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXXII ტური

19 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| შეფილდ იუნაიტედი — ბრედფორდი | 2,6 | 2,9 | 2,4 |

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — გრიმსბი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ბერი — ნორვიჩი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ქრიუ — სტოკპორტი | 2,4 | 3,0 | 2,5 |
| ჰადერსფილდი — ტრანმერი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| იფსვიჩი — ოქსფორდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| პორტ ვეილი — კრისტალ პალასი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ქუინზ პარკი — უოტფორდი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| სანდერლენდი — ვულვერჰემპტონი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| სვინდონი — პორტსმუთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ვესტ ბრომვიჩი — ბრისტოლი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბირმინგემი — ბოლტონი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXII ტური

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბოლონია — ემპოლი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| ფიორენტინა — რომა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| იუვენტუსი — ვიჩენცა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლაციო — ინტერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| მილანი — კალიარი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სალერნიტანა — პარმა | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| სამპდორია — პიაჩენცა | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| უდინეზე — ბარი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ვენეცია — პერუჯა | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXIII ტური

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვერონა — ტრევიზო | 1,7 | 2,7 | 5,6 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კოზენცა — ტორინო | 3,2 | 2,7 | 2,2 |
| კრემონეზე — ბრეშა | 3,6 | 2,7 | 2,0 |
| ლეჩე — ფ. ანდრია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ლუკეზე — რეჯინა | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| მონცა — ჩეზენა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ნაპოლი — რეჯანა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| პესკარა — კიევო | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| რავენა — ჯენოა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| ტერნანა — ატალანტა | 3,2 | 2,7 | 2,2 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი. XXIII ტური

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეალი — ბილბაო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| ესტრემადურა — ბეტისი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| რასინგი — სარაგოსა | 2,0 | 2,8 | 3,5 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალავესი — ტენერიფე | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| ოვიედო — მალიორკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| სოსიედადი — ატლეტიკო | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ესპანიოლი — დეპორტივო | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| სალამანკა — ვილიარეალი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ვალენსია — ვალიადოლიდი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| სელტა — ბარსელონა | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. მეორე დივიზიონი. XXV ტური

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მალაგა — რეკრეატივო | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| კომპოსტელა — ბადახოსი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ნუმანსია — ოსასუნა | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| ლეიდა — ერკულესი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| რაიო ვალეკანო — ალბასეტე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| მალიორკა B — ეიბარი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| ლას პალმასი — სპორტინგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო B — ტოლედო ($15^{00}$) | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ლოგრონიესი — ბარსელონა B | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| სევილია — ლეგანესი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| ორენსე — მერიდა | 2,6 | 2,9 | 2,4 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXIII ტური

19 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპორტინგი — რიუ ავე | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრაგა — ბოავიშტა | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| სალგეირუში — ლეირია | 2,0 | 2,8 | 3,5 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| შავეში — ფარენსე | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| აკადემიკა — ბეირა მარი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| სეტუბალი — მარიტიმუ | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბენფიკა — გიმარაეში | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| პორტუ — ალვერკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| კამპომაიორენსე — ამადორა | 2,5 | 2,9 | 2,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| როდა — სპარტა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| სიტარდი — კამბური | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| ალკმაარი — ვალვაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ვიტესი — მაასტრიხტი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| უტრეხტი — ჰერენვენი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გრააფსხაპი — ტვენტე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ფეიენოორდი — ეინდჰოვენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### ბელგიის ჩემპიონატი. გადადებული მატჩი

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანდერლეხტი — ეკერენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXI ტური

19 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| სამსუნი — ფენერბაჰჩე | 5,3 | 3,1 | 1,6 |

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — ალთაი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტრაბზონი — ქოჯაელი ($15^{30}$) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ადანა — გენჩლერბირლიგი ($15^{30}$) | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| საქარია — ბურსა ($15^{30}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ანკარა — გაზიანთეფი ($15^{30}$) | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| დარდანელი — ანთალია ($15^{30}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ქარაბუქი — ერზურუმი ($15^{30}$) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| გალათასარაი — ისთანბული | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXV ტური

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| დანდი იუნაიტედი — აბერდინი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ჰართსი — სენტ ჯონსტონი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| კილმარნოკი — დანფერმლაინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| რეინჯერსი — დანდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოზერველი — სელტიკი | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### საფრანგეთის თასი. მეთექვსმეტედფინალი

19 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვასკალი (II) — მეცი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ლემანი (II) — რენი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ამიენი (II) — ლე ავრი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლანსი — მარსელი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| სენტ ეტიენი — სოშო | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| გინგამი (II) — სტრასბური | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| პსჟ — ნანტი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ბელგიის თასი. მეოთხედფინალი

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლოკერენი — ვესტერლო | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ინგელმუნსტერი (III) — სტანდარდი | 6,5 | 4,0 | 1,35 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| კორტრაიკი — ლიერსი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სენტ ტრუიდენი — გენკი | 3,2 | 2,9 | 2,1 |

## ჰოკეი. NHL

19 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — სან ხოსე | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| რეინჯერსი — პიტსბურგი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ტამპა ბეი — ფინიქსი | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| დეტროიტი — ნიუ ჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ნეშვილი — კოლორადო | 2,2 | 4,4 | 1,8 |
| კალგარი — ანაჰაიმი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დალასი — ჩიკაგო | 1,2 | 4,4 | 5,0 |

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტორონტო — მონრეალი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| ოტავა — ფილადელფია | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნიუ ჯერსი — აილენდერსი | 1,2 | 4,4 | 5,0 |
| ვაშინგტონი — სან ხოსე | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ტამპა ბეი — კაროლინა | 2,7 | 4,4 | 1,6 |
| ფლორიდა — ფინიქსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| სენტ ლუისი — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კალგარი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ვანკუვერი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბუფალო — დეტროიტი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფილადელფია — პიტსბურგი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| კაროლინა — აილენდერსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ჩიკაგო — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ედმონტონი — რეინჯერსი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| დალასი — კოლორადო | 1,7 | 4,4 | 2,4 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| პიტსბურგი — ფინიქსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| ვაშინგტონი — ტორონტო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ტამპა ბეი — ნიუ ჯერსი | 3,0 | 4,4 | 1,5 |
| სენტ ლუისი — ლოს ანჯელესი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| კალგარი — რეინჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

## კალათბურთი. NBA

19 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფილადელფია — ნიუ იორკი | 1,7 | 12,0 | 1,9 |
| ვაშინგტონი — ჩიკაგო | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| ტორონტო — მილუოკი | 1,9 | 12,0 | 1,7 |
| ატლანტა — ორლანდო | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| მინესოტა — ვანკუვერი | 1,4 | 12,0 | 2,5 |
| ფინიქსი — დეტროიტი | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| პორტლენდი — ბოსტონი | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| ლეიკერსი — სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| გოლდენ სტეიტი — დალასი | 1,3 | 12,0 | 3,0 |
| საკრამენტო — შარლოტი | 1,35 | 12,0 | 2,7 |

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი — ჰიუსტონი | 1,9 | 12,0 | 1,7 |
| იუტა — სიეტლი | 1,5 | 12,0 | 2,2 |
| ფილადელფია — ატლანტა | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| კლივლენდი — ნიუ ჯერსი | 1,5 | 12,0 | 2,2 |
| მილუოკი — ინდიანა | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| პორტლენდი — გოლდენ სტეიტი | 1,35 | 12,0 | 2,7 |
| კლიპერსი — დალასი | 1,8 | 12,0 | 1,8 |

21 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ იორკი — ჩიკაგო | 1,15 | 12,0 | 4,7 |
| ვაშინგტონი — ბოსტონი | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| სან ანტონიო — დეტროიტი | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| ტორონტო — ვანკუვერი | 1,7 | 12,0 | 1,9 |
| ორლანდო — ჰიუსტონი | 1,6 | 12,0 | 2,0 |
| მინესოტა — საკრამენტო | 1,5 | 12,0 | 2,2 |
| ინდიანა — ნიუ ჯერსი | 1,3 | 12,0 | 3,0 |
| სიეტლი — ლეიკერსი | 1,2 | 12,0 | 4,0 |

22 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ორლანდო — საკრამენტო | 1,2 | 12,0 | 4,0 |
| ატლანტა — ჩიკაგო | 1,2 | 12,0 | 4,0 |
| კლივლენდი — ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| მინესოტა — სან ანტონიო | 1,7 | 12,0 | 1,9 |
| დენვერი — ლეიკერსი | 1,8 | 12,0 | 1,8 |
| იუტა — კლიპერსი | 1,1 | 12,0 | 6,0 |
| ფინიქსი — დალასი | 1,3 | 12,0 | 3,0 |

## რაგბი. ხუთი ერის პირველობა. II ტური

20 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი — შოტლანდია | 1,1 | 6,0 | 6,0 |
| უელსი — ირლანდია (ლონდონში) | 1,4 | 6,0 | 2,8 |

### ტურში გატანილი გოლები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია (მე-19 ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| ინგლისი (26-ე ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| იტალია (22-ე ტური) | 22 და ნაკლები | 1,9 | 24 და მეტი | 1,9 |
| ესპანეთი (23-ე ტური) | 25 და ნაკლები | 1,9 | 27 და მეტი | 1,9 |
| პორტუგალია (23-ე ტური) | 23 და ნაკლები | 1,9 | 25 და მეტი | 1,9 |
| თურქეთი (21-ე ტური) | 24 და ნაკლები | 1,9 | 26 და მეტი | 1,9 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

რეგულარული ჩემპიონატი

# მსროლე, კრის!


REUTERS სიეტლიდან

სიეტლი — საკრამენტო. ამ მატჩის გმირს, საკრამენტოელ კრის ვებერს (4) სიეტლელთა ლიდერებმა გერი პეიტონმა (მარცხნივ) და ვინ ბეიკერმა ვერაფერი დააკლეს

17 თებერვალი

**სიეტლი 106:109 საკრამენტო** (ძირითადი დრო 96:96)

**სიეტლი:** პეიტონი (34 ქულა, 10 პასი), ლუისი (4), შრემპფი (13), ბეიკერი (17 ქულა, 12 მოხსნა), პოლინაისი (10 ქულა, 15 მოხსნა); ჰოკინსი (18), ვილიამსი (4), ელისი (3), ნორისი (3)

**საკრამენტო:** ვილიამსი (12), აბდულ-ვაჰადი (12), ვილიამსონი (6), ვებერი (23 ქულა, 14 მოხსნა), დივაცი (14 ქულა, 14 მოხსნა); ფანდერბურკი (16), სტოიაკოვიჩი (10), მაქსველი (9), ბერი (7)

როგორც იქნა, გამოჩნდა გუნდი, რომელმაც „სიეტლ სუპერსონიქსს" გამარჯვებათა სერია შეაწყვეტინა, არადა, სიეტლი ერთადერთი იყო ნბა-ს 29 გუნდიდან, თამაში რომ არ წაეგო. ყველასთვის მოულოდნელი გახლდათ მისი საშუალო დონის გუნდ „საკრამენტო კინგზთან" მარცხი. „იუტა ჯაზმა", სანამ 16 თებერვალს სიეტლთან წააგებდა, სწორედ „კინგზს" სძლია ოვერტაიმში. უცნაური წრე შეიკრა — სიეტლმა იუტა გააბითურა და, როგორც ჩანს, მასთან ბრძოლით გადაღლილი საკრამენტოს ველარ გაუმკლავდა. უდავოა, რომ საკრამენტო ამ სეზონში ბევრად მეტს მიაღწევს. უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ წინა წლებში ამ საშუალოზე დაბალი დონის გუნდს, რომელმაც სეზონის წინ რამდენიმე ცვლილება მოახდინა, სერიოზული გეგმები დაუსახავს, ყველაზე ცოტა, პლეი ოფში მოხვედრას გეგმავს.

მატჩის დასაწყისი სიეტლისთვის ცუდს არაფერს მოასწავებდა. „სუპერსონიქსი" ქულას ქულაზე აგროვებდა და პირველ ნახევარში სხვაობამ 13 ქულას მიაღწია. თითქოს მორიგი იოლი გამარჯვება გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ საკრამენტომ და მისმა ლიდერმა კრის ვებერმა სწორედ ამის შემდეგ გაიგიჟეს თავი, იოლად დაძლიეს სხვაობა და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანეს. აქ სიეტლს ერთი პრობლემა გაუჩნდა — გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა, თავდამსხმელმა ვინ ბეიკერმა ექვსი ჯარიმა მიიღო... არადა, თამაშის დაწყებამდე მწვრთნელმა ამილ ვესტფოლმა სწორედ ბეიკერს დაავალა მეტოქის ლიდერის გაუვნებელყოფა. ბეიკერმა ეს დავალება არცთუ წარმატებით შეასრულა, ოვერტაიმში კი ვებერი საერთოდ მეურვის გარეშე დარჩა. დამატებითი დრო სტუმართა სრული უპირატესობით წარიმართა, ჯერ ახალბედა ვილიამსმა ჩააგდო სამქულიანი, ამას ცენტრმა დივაცმა და ვებერმა თითო-თითო ორქულიანი დაურთეს და 109:96 გახადეს ანგარიში. ახლა უკვე სიეტლს მოუხდა ჩამორჩენის დასაძლევად გარჯა. იბრძოდა მხოლოდ გერი პეიტონი, მაგრამ წინა მატჩებში სიეტლის ზედიზედ ექვსი მატჩის გმირმა მხოლოდ სხვაობის შემცირება მოახერხა, მეტისთვის დრო არ ეყო.

ზეიმობდნენ საკრამენტოელები მატჩის შემდეგ და ერთთავად თავიანთი გმირის, კრის ვებერის ქება-დიდებაში იყვნენ. „კრისი (ვებერი) ჭეშმარიტად ჩვენი ლიდერია — ამბობდა საკრამენტოელი კორლის ვილიამსონი — ადვილი შესამჩნევია, როგორ უმატებს მატჩის ბოლოს. იგი ყველაფერს აკეთებს გამარჯვებისთვის. ვფიქრობ, თუ ასე გააგრძელა, ბევრს მივაღწევთ".

**ვანკუვერი 129:131 ბოსტონი**
(ძირითადი დრო 94:94,
I ოვერტაიმი 106:106,
II ოვერტაიმი 116:116)

**ვანკუვერი:** აბდურ რაჰიმი (39 ქულა, 13 მოხსნა), ბიბი (23 ქულა, 10 პასი)

**ბოსტონი:** ვოლკერი (27 ქულა, 13 მოხსნა), მერსერი (27), პირსი (26), ანდერსონი (20 ქულა, 13 პასი)

კალათბურთის ეროვნული ასოციაციის უძველეს და უახალგაზრდავეს გუნდებს შორის შეხვედრებიდან ამ მატჩს ყველაზე დიდი დრო დასჭირდა და ბოლოს ისევ ძველმა ბოსტონმა იძალა მესამე ოვერტაიმში. „ბოსტონ სელტიქსი" ლიგასთან ერთად დაარსდა 1946 წელს, „ვანკუვერ გრიზლიზის" ისტორია კი მხოლოდ ოთხ წელიწადს ითვლის. ამ მატჩში, რაღა თქმა უნდა, ბევრმა გამოიჩინა თავი, ვანკუვერელმა ლიდერმა შარიფ აბდურ-რაჰიმმა სულაც კარიერის რეკორდი დაამყარა 39 ქულის მოგროვებით, მაგრამ მატჩის გმირი ვინმე ენდრიუ დეკლერკი გახდა, რომელმაც მთელ მატჩში მხოლოდ 7 ქულა ჩააგდო, მაგრამ მესამე ოვერტაიმის დამთავრებამდე 15 წამით ადრე გამარჯვების მომტანი სამქულიანით გამოიჩინა თავი.

**პორტლენდი 100:85 დენვერი**

**პორტლენდი:** რაიდერი (19)

**დენვერი:** ლაფრენცი (17 ქულა, 15 მოხსნა), მაკდაიესი (17 ქულა, 12 მოხსნა)

შარშანდელი სეზონის ლიგის ყველაზე უსუსური გუნდი, დენვერი, ახალ სეზონს რამდენიმე სერიოზული ცვლილებით შეხვდა და მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდის თამაშის ხარისხი გაცილებით გაუმჯობესდა, შედეგი მაინც არ ჩანს, რვა თამაშიდან მეშვიდე წააგო. რაც შეეხება ამ ბოლო მარცხს, აქ დენვერი ნამდვილად უფერულად გამოიყურებოდა. აიზია რაიდერის ძალისხმევით მასპინძელმა პირველი მეოთხედი 31:17 მოიგეს, ნახევარი კი — 58:36.

**ლეიკერსი 101:88 დალასი**

**ლეიკერსი:** ონილი (24 ქულა, 12 მოხსნა), ბრაიანტი (23), ჯონსი (20)

**დალასი:** ტრენტი (17)

უსუსურ დალასს თუ ვინმეს იმედი ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა ყოფილი ლეიკერსელების — თავდამსხმელ ეისი გრინის და ფრთა სედრიკ სემალოსის. მაგრამ ვერც მათ და ვერც 229-სანტიმეტრიანმა ჟირაფმა შონ ბრედლიმ ლოსანჯელესელებს ვერაფერი მოუხერხეს. შონ ბრედლიმ პირწმინდად წააგო დუელი მასზე 13 სანტიმეტრით დაბალ ლეიკერსელთა ლიდერ შაკილ ონილთან და მხოლოდ სამ ქულასღა დასჯერდა. ლეიკერსს კი არ გასჭირვებია, დიდი ძალისხმევის გარეშე მოეგო უკვე ზედიზედ მე-15 შეხვედრა დალასთან.

**გოლდენ სტეიტი 96:87 შარლოტი**

**გოლდენ სტეიტი:** დამპიე (10 ქულა, 18 მოხსნა)

**შარლოტი:** რიდი (29 ქულა, 10 მოხსნა), კოულმენი (22)

ამდენს კი აღარ მოელოდა გოლდენ სტეიტის მთავარი მწვრთნელი ფი ჯეი კარლისიმო. მისმა გუნდმა საკმაოდ მოულოდნელად ორ მოგებულ თამაშს ზედიზე მესამეც მიაყოლა. მატჩი ბოლო წუთებამდე თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მატჩის დამთავრებამდე 5 წუთითა და 40 წამით ადრე ანგარიში 81:81 იყო, მაგრამ აქ უეცრად აფეთქდნენ გოლდენსტეიტელები და შარლოტს, განსაკუთრებით მის ჯეი არ რიდს, რომელმაც 29 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა, გარჯა წყალში გადაუყარეს.

**სან ანტონიო 76:79 ფინიქსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (20 ქულა, 12 მოხსნა)

**ფინიქსი:** გულიოტა (19)

„თავს ვეკითხებოდი, პირველი ნახევრის შემდეგ წინ კიდევ 24 წუთი გვაქვს, შერცხვენილებმა როგორ უნდა დავტოვოთ მოედანი-მეთქი. მოვინდომეთ და შევძელით კიდეც გაგვეკეთებინა ის, რაც მოგვეთხოვებოდა" — ამბობდა შეხვედრის დასრულების შემდეგ მატჩის გმირი, ფინიქსის გამთამაშებელი ჯეისონ კიდი, ვინც 44 წუთში 14 ქულა, 15 მოხსნა და 10 პასი მოინაგრა და სეზონში მეორე სამმაგი დუბლიც გაახერხა. ნბა-ს ახალ სეზონში ეს სხვას არავის მოუხერხებია, მაგრამ ფინიქსისთვის კიდის სამმაგ დუბლზე უფრო საჭირო მისი თავგამოდება გახლდათ, განსაკუთრებით მეორე ნახევარში. მან თავისი ენთუზიაზმით თანაგუნდელებიც აიყოლია და მატჩის მიწურულს სან ანტონიოს 12-ქულიანი უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა. ფინიქსმა განსაკუთრებით ბოლო მეოთხედში დაჩაგრა ვითომცდა მრისხანე მასპინძელი და ეს მონაკვეთი 22:8 მოუგო. მეორე ნახევარში აღარ ჩანდა მასპინძელთა ლიდერი დევიდ რობინსონი. მან, ნბა-ს ყველაზე მოძრავ და ტექნიკურ ცენტრად მიჩნეულმა, მატჩში მხოლოდ 16 ქულას მოუყარა თავი და ბევრიც ვერაფერი დააკლო ყოფილ ჩიკაგოელ ძონძროხა ცენტრ ლუკ ლონგლის, მაშინ, როდესაც მატჩის წინ სანანტონიოელთაგან სწორედ რობინსონი ითვლებოდა უმთავრეს დამრტყმელ ძალად.

**მილუოკი 91:83 ჩიკაგო**

**მილუოკი:** ბრენდონი (17), გილიამი (16)

**ჩიკაგო:** კუკოჩი (20)

მილუოკიმ „ჩიკაგო ბულზს" ბოლოს შორეულ 1995 წელს მოუგო, როცა კალათბურთის ლეგენდა მაიკლ ჯორდანი ახალდაბრუნებული იყო კალათბურთში. მას აქეთ ჩიკაგომ სადაც დაიჭირა მილუოკი, არსად გაახარა. და ზედიზედ 12 მატჩი მოუგო კიდეც. ახალ 1999 წლის სეზონში კი სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა. დაბეჩავებულმა ჩიკაგომ მხოლოდ „ლოს ანჯელეს კლიპერსი" გამოიჭირა, დანარჩენ მეტოქეებთან კი სამარცხვინოდ წააგო. მილუოკის თავი არ მოუკლავს, თორემ ადვილი შესაძლებელი იყო, სხვაობა კატასტროფული ყოფილიყო. თითქოს ბედის ირონიაა, რომ ჯერ კიდევ შარშან ცენტრალური დივიზიონის ლიდერი „ბულზი" ამჟამად მეშვიდე ადგილზეა, სწორედ იქ, სადაც დღესდღეობით არც თუ მოულოდნელად ამავე ცხრილის მწვერვალზე წამოსკუპებული მილუოკი, გასულ სეზონში იყო.

**მინესოტა 116:102 ჰიუსტონი**

**მინესოტა:** მარბერი (40 ქულა, 12 პასი), გარნეტი (23)

**ჰიუსტონი:** ჰარინგტონი (23)

ძველი თუ ახალი ტრავმებით შეჭირვებულმა ჰიუსტონის ერთ-ერთმა ლიდერმა ჩარლზ ბარკლიმ მეორე თამაში გამოტოვა, მეორედ დაიკავა მისი ადგილი სასტარტო ხუთეულში ოთელა ჰარინგტონმა და თავი არ შეირცხვინა, ის კი არა, 23 ქულით კარიერის რეკორდიც დაამყარა. მაგრამ მინესოტასთან შეხვედრაში თავი იჩინა უმთავრესმა პრობლემამ, რაზეც შიშობდა კიდეც ჰიუსტონი — ნბა-ს ერთ-ერთმა ყველაზე ასაკოვანმა გუნდმა ვერაფერი მოუხერხა ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდულ და სწრაფ ტემპში მოთამაშე მინესოტას. ამიტომაც ჰიუსტონმა ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ პირველი მარცხი იგემა. გაუჩერებელი იყო მინესოტას დუეტი — თავდამსხმელი კევინ გარნეტი და გამთამაშებელი სტივენ მარბერი. 211-სანტიმეტრიანმა გარნეტმა 23 ქულას 9-9 მოხსნა-პასი დაურთო, მარბერიმ კი სულაც 40 ქულას მოუყარა თავი, რაც მისი კარიერის საუკეთესო შედეგია. ამ მატჩამდე მარბერის თავი ბევრი არაფრით გამოეჩინა და წინა მატჩების საუკეთესო შედეგი 21 ქულა გახლდათ. ჰიუსტონთან კი ლამის გააორმაგა ეს შედეგი. მატჩის შემდეგ მარბერი თანაგუნდელებმა ერთობ შეაქეს, მანაც შეიფერა და თქვა, სტივენ მარბერის ასეთი რამის გაკეთება ყველა თამაშში ძალუძსო.

**დეტროიტი 80:91 მაიამი**

**დეტროიტი:** ჰილი (22), სტეკჰაუზი (21)

**მაიამი:** ჰარდევეი (29)

„დეტროიტ პისტონზმა" სეზონი მშვენივრად დაიწყო. მის თამაშს თითქოს წუნი არ დაედებოდა და გუნდმაც ზედიზედ სამი მატჩი მოიგო, მაგრამ... იღბალმა უმტყუნა. მაიამისთან შინ წაგება მისთვის ზედიზედ მეხუთე იყო. ფლორიდელებს მასპინძელთაგან მხოლოდ ორი კაცი ებრძოდა — ჰილი და სტეკჰაუზი, მაგრამ ესენიც მატჩის დაწყებისთანავე წინ გაქცეულ სტუმრებს მხოლოდ სხვაობის გაზრდაშიღა უშლიდნენ ხელს.

**ორლანდო 96:85 ვაშინგტონი**

**ორლანდო:** ანდერსონი (26)

**ვაშინგტონი:** ჰოვარდი (15 ქულა, 10 მოხსნა)

თამაში აშკარად ჩააგდო ორლანდოელების ლიდერმა ანფერნი ჰარდევეიმ, რომელმაც მხოლოდ ოთხი ქულის გაკეთება მოახერხა, მაგრამ ლიდერობა, ისევე როგორც შარშან ჰარდევეის ტრავმის დროს, ნიკ ანდერსონმა ითავა და მშვენივრადაც გაუძღვა ამ საქმეს. ვაშინგტონი კი, რომელიც მიჩ რიჩმონდს კიდევ უფრო უნდა გაეძლიერებინა, პირიქით, შარშანდელზე სუსტ გუნდად ქცეულა და ატლანტიკის დივიზიონის ცხრილის ფსკერზეც დამძირულა. აშკარად ვერ გამოიყურება ჩვეულად გუნდის ლიდერი, გამთამაშებელი როდ სტრიკლენდი. არადა, მისი და რიჩმონდის დუეტი ნბა-ს ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ უკანახაზად ითვლება.

**ირაკლი ფირაშვილი**


REUTERS ვანკუვერიდან

ვანკუვერი — ბოსტონი. სამოვერტაიმიანი მატჩის დაძაბულობა: ბოსტონელი ენდრიუ დეკლერკი ვანკუვერელ ტონი მასენბურგს ბურთს არ ანებებს

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| ატლანტიკის დივიზიონი | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| ორლანდო | 6 | 2 | 75,0 |
| ფილადელფია | 4 | 2 | 66,7 |
| ნიუ იორკი | 4 | 2 | 66,7 |
| მაიამი | 5 | 3 | 62,5 |
| ბოსტონი | 3 | 3 | 50,0 |
| ნიუ ჯერსი | 2 | 4 | 33,3 |
| ვაშინგტონი | 1 | 4 | 20,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 5 | 1 | 83,3 |
| ატლანტა | 5 | 2 | 71,4 |
| ინდიანა | 4 | 3 | 57,1 |
| კლივლენდი | 3 | 3 | 50,0 |
| დეტროიტი | 3 | 5 | 37,5 |
| ტორონტო | 1 | 4 | 20,0 |
| ჩიკაგო | 1 | 6 | 14,3 |
| შარლოტი | 1 | 6 | 14,3 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა | 6 | 1 | 85,7 |
| ჰიუსტონი | 5 | 2 | 71,4 |
| მინესოტა | 5 | 2 | 71,4 |
| სან ანტონიო | 4 | 4 | 50,0 |
| ვანკუვერი | 3 | 4 | 42,9 |
| დალასი | 1 | 7 | 12,5 |
| დენვერი | 1 | 7 | 12,5 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 6 | 1 | 85,7 |
| პორტლენდი | 4 | 2 | 66,7 |
| ფინიქსი | 5 | 3 | 62,5 |
| ლეიკერსი | 5 | 3 | 62,5 |
| საკრამენტო | 4 | 3 | 57,1 |
| გოლდენ სტეიტი | 3 | 5 | 37,5 |
| კლიპერსი | 0 | 6 | 0 |

## საპორტას თასი. მერვედფინალი

საპასუხო მატჩები. 16-17 თებერვალი

REUTERS გარსელონადან




ხუვენტუდი — ჰაპოელი. ფრან მურჩიას ხუვენტუდი ვერც რადისლავ კურჩიჩის და შალომ თორჯმენის კარგმა გარჯამ შეაჩერა

**პამესა (ესპანეთი) — სპლიტი (ხორვატია)**
84:75 (79:76)

პამესა: ა.გარსია (11), ს.გარსია (8), ბერნარდო (5), ლოპესი, ფერნანდესი, ჰოპკინსი (17), ცისკარი (16), ბენედი (13), როდილა (1), სელერსი (13)

სპლიტი: გრგურევიჩი (4), ჰენჯაკი, მამიჩი (10), მილერი (11), პოლაკი (11), სუბოტიჩი (4), ტომელჯაკი (4), ტვრდიჩი (18), ვუიჩიჩი (13)

**პარტიზანი (იუგოსლავია) — ტელეკომი (თურქეთი)**
76:43 (85:70)

პარტიზანი: ბრიკიჩი (15), კუბრილო (19), ჯუკიჩი (6), გილიჩი (2), ლუკოვსკი (2), რადოსევიჩი (12), სტევანოვიჩი (2), ტომაშევიჩი (11), ვარდა (5), ვიდაჩიჩი (2)

ტელეკომი: ალტინმაკასი (2), ბენლი, ბერეინო (8), ბიბო (7), კოული (13), კულაჩი, მემიშოღლუ (4), ოზმენი (3), პაინე (5), იაისიოღლუ (1)

**ხუვენტუდი (ესპანეთი) — ჰაპოელი (ისრაელი)**
93:74 (73:81)

ხუვენტუდი: პერესი (11), კორალესი (9), დრამე, გუტიერესი (4), გრაგერა, ლოპესი (10), მიდლტონი (6), მურჩია, სანჩესი (16), სვინსონი (37)

ჰაპოელი: ბალული, კურჩიჩი (24), ჰამილტონი (21), კარვერი (9), კაცი (2), შეფა, ტამირი, თორჯმენი (9), ვილიამსი (9), ზაიციკი

**არისი (საბერძნეთი) — ვენტსპილსი (ლატვია)**
79:64 (65:73)

არისი: ანგელიდისი (2), კრიზანტოპულოსი (4), ფლოროსი, გალაკტეროსი (13), კუხლი, ლიადელისი (16), მაკრისი, მიხაილოვი (21), სიგალასი (8), სიოუტისი (15)

ვენტსპილსი: ბერნატსი, ბუსკევიჩსი (2), იეფრისი (14), ი.ლაკსა (3), მ.ლაკსა, მუჟნიეკსი (10), სიმსი (20), ვალეიკო, ვიტოლსი (12), ზეიდაკსი (3)

**თოფაში (თურქეთი) — ულმი (გერმანია)**
79:70 (74:65)

თოფაში: ბაში (10), ერდენი (3), გრიფითი (17), ქონუქი (5), ოქური (3), პარსი (10), რიმასი (10), რივერსი (7), როჯერსი (13), ილმაზი (1)

ულმი: ასტი (8), აუტრი (13), ბირკენფილდი, პელდი, კემნა (2), კონსტანტინიდისი, ლომერსი (3), ნესი (20), სვიტეკი (5), ვოლკერი (19)

**სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია)**
81:85 (68:86)

სლოვაკოფარმა: ანდრუშკა, კუზნეცოვი (5), ლუკიანეცი (17), მიხალიკი, მიჩუდა (4), რისტანოვიჩი (13), სირტაუტასი (7), ზაბო (20), ვეისი, ზადრავეცი (15)

ბუდუჩნოსტი: ბოსკოვიჩი (7), ბულატოვიჩი (21), სერანიჩი (4), ოსტოჯიჩი, პაიოკიჩი (13), რადონჯიჩი (16), რადუნოვიჩი, სტეფანოვიჩი (16), ტოპალოვიჩი, ვუკევიჩი (8)

**ბენეტონი (იტალია) — შარლერუა (ბელგია)**
75:61 (70:66)

ბენეტონი: ბანორა (9), დისპალატრო, პრასტი (5), მარკონატო (4), ვირჯინიო (9), პიტისი (9), რებრაჩა (17), შმიდტი, სეკუნდა, ვილიამსი (22)

შარლერუა: ბუჟა (6), სლეიმანსი (17), დიასი, ელისი (11), გაილი, მარიონი (7), მორტონი (8), ორგიუზი, სტასი (9), ვეზერსპურნი (3)

**შოლე (საფრანგეთი) — პივოვარნა (სლოვენია)**
86:82 (68:77)

### მეოთხედფინალში დაწყვილდნენ

ბუდუჩნოსტი — თოფაში

არისი — პივოვარნა

ბენეტონი — პარტიზანი

პამესა — ხუვენტუდი

*შეხვედრები გაიმართება 2 მარტს პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე*

## კორაჩის თასი. მეოთხედფინალი

საპასუხო მატჩები. 17 თებერვალი

**დიჟონი (საფრანგეთი) — პანიონისი (საბერძნეთი)**
84:74 (66:87)

დიჟონი: ბერნარდი (23), სალაბრია (24), დოჰერტი (7), ეზუგვუ (4), ჰამი, კანტე (6), ლარსონი (5), ლაური (14), მორენდე (1), სუჩუ

პანიონისი: კასოლი (9), კუპერი (12), დრელიოზისი, კარაგუტისი (13), კიკილიასი (11), კუცოპოლოსი (14), ლიმნიატისი, მიხალოსი, სიმსი (15), სტარაკოპულოსი

**ბარსელონა (ესპანეთი) — დუკატო (იტალია)**
76:59 (71:87)

ბარსელონა: ალსტონი (12), ჯორჯევიჩი (17), ჰერნანდესი (4), ესტელერი (9), ფერნანდესი (6), მონუერა, მალატრასი (20), ფეიჯო, რენციასი (8), როდრიგესი

დუკატო: ალბერტი (5), ამაია (17), ბონელი, კორჩიანი (2), კორსონი, ლარსენი, მიდლტონი (11), მინტო (3), ოლივერი (21), როზეტი

**ბეშიქთაში (თურქეთი) — ოსტენდე (ბელგია)**
82:78 (65:93)

ბეშიქთაში: აიდინი (4), ბეშოკი (10), ბუიკაიჩანი, ჯენსი (14), კოზანი (2), პრასკევიჩუსი (15), ტომსოოზი (5), ტომპსონი (6), ვილრიჩი (19), იუსელი (7)

ოსტენდე: ბაიერი (1), დე ბელი, დე საევერი (7), გუტალსი (4), იაუმინი (8), ლოუერსი (8), ლოლისი (24), მიჩელი (14), ვან დერ სპეიგელი

**არსენალი (რუსეთი) — ადეკო (ესპანეთი)**
63:70 (59:77)

არსენალი: ანტიპოვი (15), კარიმოვი, კონოვალოვი (5), პეტრენკო (12), პოგორელოვი (2), სოლოვიევი (14), სტრელკინი, ტენი (2), ვადეევი (4), იუდინი (9)

ადეკო: დე ლა კუესტა (2), ბარსენასი (3), დე მიგელ ვილა (5), სანჩესი (6), მარტინესი (11), საბანასი (18), რობლესი (2), ტომპსონი (9), ვანდივერი (12), ვალასკერი (2)

### ნახევარფინალში დაწყვილდნენ

პანიონისი — ბარსელონა

ოსტენდე — ადეკო

*შეხვედრები გაიმართება 3 მარტს პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე*

1999 წლის აპრილ-სექტემბერში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია აწყობს საგანგებო გამოკითხვას
*საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეების*
გამოსავლენად (ლაურეატთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართება 1999 წლის ოქტომბერში).

**ვაცხადებთ კონკურსს ემბლემასა და პრიზზე**

მასალა ნებისმიერი (სასურველია ერთი გამაერთიანებელი ფიგურა კომპოზიცია)
საკონკურსო პროექტების წარმოდგენის ბოლო ვადა 1999 წლის 1 აპრილი.

**ჟიურის მიერ საუკეთესოდ აღიარებულ ავტორს გადაეცემა პრემია — 1000 ლარი**

საკონკურსო მასალები წარმოადგინეთ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ოფისში: თბილისი, რუსთაველის 42, V სართული. ტელ: 99-08-22
(აქვე მიიღებთ კონკურსთან დაკავშირებულ დამატებით ინფორმაციას).



# ევროპამ საქართველო ირჩია!



გადიმ კოთოლაძის ფოტო

ზურაბ აზმაიფარაშვილი

**გუშინ ჭადრაკის სასახლეში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა მასმედიის წარმომადგენლები მიიღო. პრესკონფერენცია დორტმუნდში გამართულ ევროპის საჭადრაკო საბჭოს სხდომაზე ბათუმის ევროპის გუნდური ჩემპიონატის მასპინძლად დასახელებას მიეძღვნა და მომხდარი მოვლენის შესაფერისი მილოცვებითაც დაიწყო, შემდეგ კი ბატონმა ზურაბმა სხდომის პერიპეტიებიც გაგვაცნო**

მცირე ხნით წარსულს გადავხედოთ: მიუხედავად ფრიადი პრესტიჟულობისა, ევროპის გუნდურ ჩემპიონატს არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს. წლევანდელი შეჯიბრება რიგით მესამე იქნება, ხოლო თავად ევროპის საჭადრაკო საბჭო, რომელიც ჩემპიონატს შეფობს, ოფიციალურად სულაც ახლახან, ელისტის ოლიმპიადის დროს დაფუძნდა. საბჭოს სტრუქტურა მარტივია, იგი მხოლოდ 6 წევრისგან შედგება. დღეისთვის საბჭოში ირიცხებიან ესპანელი, გერმანელი, ფინელი, რუსი და უნგრელი, ხოლო თავმჯდომარე სლოვენი ბორის კუტინი გახლავთ.

ჩემპიონატის მასპინძლად თავიდან ინგლისი იყო შეგულებული, მაგრამ ბრიტანელებმა მონაწილეებს ცხოვრების ისეთი ძვირი პირობები შესთავაზეს, რომ ნაკრებთა ნახევარზე მეტი ალბიონზე მოხვედრას ალბათ საერთოდ ვერ მოახერხებდა. მოკლედ, ინგლისელებმა ბოლოს უარი მიიღეს და, მგონი, დიდად არც უნაღვლიათ. ამის მერე ჩემპიონატის მასპინძლობა ბევრს მოუნდა. ხანმოკლე დროში ევროპის საჭადრაკო საბჭომ 11 ქვეყნის განაცხადი მიიღო, რომელთა შორის საქართველოც იყო და ჩვენი მეზობელი სომხეთიც. შემდგომ ამისა, პრეტენდენტმა ქვეყნებმა საკუთარი იმიჯის ფორმირება დაიწყეს და ცდილობდნენ მათთან საინსპექციოდ ჩასული ბორის კუტინისთვის სხვებზე მეტად მოეწონებინათ თავი. აზმაიფარაშვილის თქმით, ბათუმში კუტინმა იმაზე ბევრად უკეთესი სიტუაცია იხილა, ვიდრე მოელოდა და ამან დორტმუნდის სხდომის შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. კუტინი ესაუბრა ასლან აბაშიძესაც. აჭარის ლიდერმა დაარწმუნა სლოვენი, რომ ჩემპიონატის ბათუმში გამართვის გარანტიები სამთავრობო დონეზე იქნებოდა გაცემული, რაც თავისთავად მათ უტყუარობაზე მეტყველებდა. ეს არგუმენტი აზმაიფარაშვილმა დორტმუნდში ერთ-ერთ კოზირად გამოიყენა, რამდენადაც დანარჩენი ქვეყნები ჩემპიონატის გამართვისთვის კერძო სტრუქტურებზე აპირებდნენ დაყრდნობას. ქართული მხარის კიდევ ერთი კოზირი ანატოლი კარპოვის მხარდაჭერა გახლდათ. ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა საბჭოს გაუგზავნა წერილი, რომელშიც საქართველოს მოიხსენიებდა დიდი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყნად, სადაც ბოლო ხანს ერთი რიგიანი საერთაშორისო ტურნირიც არ გამართულა და ამგვარად ასაბუთებდა თავის აზრს, რომ ჩემპიონატი ბათუმში უნდა შედგეს.

რასაკვირველია, დანარჩენ ქვეყნებსაც ჰქონდათ თავიანთი კოზირები. უნგრეთმა საბჭოს ყველაზე დაბალი ფასები შესთავაზა (გუნდები ჩემპიონატზე საკუთარი ხარჯებით გამოვლენ), ანდორამ — 18 ათას დოლარიანი საპრიზო ფონდი, რაც საქართველოსაზე ორჯერ მეტი იყო და ა.შ. ჩვენთვის მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ საბჭოს გერმანელი, უნგრელი და ესპანელი წევრები დაინტერესებულ მხარეებად უნდა მიგვეჩნია და მათი ხმის იმედი არ უნდა გვქონოდა. და მაინც, კონკურსის პირველი ტური საქართველომ ფრიად დამაჯერებლად მოიგო და მომდევნო ეტაპზე გავიდა ანდორასა და უნგრეთთან ერთად. დამარცხება განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვა ბოსნიის წარმომადგენელმა და ეს თურმე მის ემოციებშიც გამოიხატა, თუმცა მას ზრდილობიანად კარისკენ მიუთითეს და ერთ საათში მეორე, გადამწყვეტი ტურიც დაიწყო.

აქაც არ იყო ყველაფერი რიგზე: საბჭოს წევრებიდან ესპანელი, ცხადია, ანდორას დაუჭერდა მხარს, როგორც, ესპანელთა საერთო აზრით, მათი ქვეყნის ერთ-ერთ პროვინციას და, რასაკვირველია, არც უნგრელი გაწირავდა თავის ქვეყანას საქართველოს სასარგებლოდ. სამაგიეროდ, დანარჩენების სიმპათია, ეტყობა, ქართველთა მხარეს იყო და გამარჯვებაც მოვიდა: საქართველოს კანდიდატურას მხარი დაუჭირეს თავად ბორის კუტინმა და საბჭოს რუსმა და ფინელმა წევრებმა. ამგვარად, არა ექვსიდან, არამედ, ფაქტობრივად, ოთხიდან 3 ხმით საქართველო ევროპის 1999 წლის გუნდური ჩემპიონატის მასპინძლად დასახელდა.

მთავარი კი ჯერაც წინაა. როგორც აზმაიფარაშვილმა გვაცნობა, ტურნირის მაღალ დონეზე ორგანიზებას ქართული ჭადრაკის მომავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება და საამისოდ ყველაფერი უნდა გაკეთდეს. უკვე 20 მარტისთვის ჩემპიონატის ორგკომიტეტის ფორმირება დასრულდება და იგი საქმიანობას შეუდგება. წმინდა ყოფითი საკითხების გარდა გადასაწყვეტია ტურნირის გაშუქების პრობლემებიც და ამ მხრივ ბევრი რამის გაკეთებაა განზრახული. იგულისხმება პირდაპირი ჩართვა როიტერის საინფორმაციო სააგენტოსა და ინტერნეტის ქსელებში ელისტის ოლიმპიადის მსგავსად. ბატონი ზურაბის სიტყვით, ელექტრონულ საჭადრაკო დაფებს, რომელთა მეშვეობითაც ინტერნეტში მომუშავეებს პარტიების ნახვა თამაშის პროცესშივე შეუძლიათ, ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი გვათხოვებს. ნოემბრამდე ანუ ჩემპიონატის დაწყებამდე, მაისში ბორის კუტინი ერთხელაც ეწვევა საქართველოს და მზადების პროცესს შეამოწმებს.

მოკლედ, ყინული დაიძრა და, ცხადია, „სარბიელს“ თავისი მკითხველი მუდმივად საქმის კურსში ეყოლება...

**დავით გულუა**

—— წყალბურთი ——

# ქართველებმა რუსეთის ჩემპიონის ტიტული უნდა დაიცვან

საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრების წევრები რუს თანატოლთა ჩემპიონატს კარგა ხანია გაუშინაურდნენ. აი, ამ დღეებშიც რუსეთის ახალგაზრდული პირველობის მეორე ეტაპზეც იასპარეზეს ვოლგოგრადში და კვლავაც წარმატებით: ჩვენები ჯერ მასპინძელთა „სპარტაკ-ლუკოილს“ 5:5 დაუზავდნენ, მერე სანკტ პეტერბურგის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდთან 5:6 წააგეს, მაგრამ მომდევნო ორი შეხვედრა მოსკოვის „ბურევესტნიკის“ და ნიჟნი ნოვგოროდის „დელფინს“, შესაბამისად, 10:3 და 5:2 მოუგეს და ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს. ამ შედეგმა ახალგაზრდა ქართველებს აპრილში მოსკოვში დანიშნულ ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოუტანა. რუსთა დედაქალაქში ჩვენებს იქაური „შრომითი რეზერვები“, „ბურევესტნიკი“-1 და ცსკა დაუხვდებიან ვოლგოგრადისა და სანკტ პეტერბურგის გუნდებთან ერთად.

ახალგაზრდა ქართველი წყალბურთელები რუსეთის ღია პირველობის შარშანდელი გამარჯვებულები არიან. მათი ფინანსური უზრუნველყოფა ჩვენი ფედერაციისთვის ყოველთვის პრობლემა იყო და წლეულსაც ასეა. საბედნიეროდ, გამოჩნდა მეცენატი, რომელიც აქამდე ინკოგნიტოდ დარჩენას ამჯობინებდა, მაგრამ ბოლოს მისი ვინაობა მაინც გაცხადდა: საქართველოს ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრების წევრები და მათი მწვრთნელი სოსო მაისურაძე დიდად ემადლიერებიან შპს „სამგორის“ პრეზიდენტს ლადო კვარაცხელიას არაერთგზის უანგარო დახმარებისთვის.

ირაკლი თავაძე

—— მძლეოსნობა ——



ბადრი ქართველიძის ფოტო

თამარ შანიძე ტოკიოშიც გაიქცევა

# ნებიოლომ გასაქცევი ფული მოგვცა

გუშინ მოსკოვში დაიწყო რუსეთის ღია პირველობა მძლეოსნობაში, რომელშიც ქართველი სპრინტერი თამარ შანიძეც ასპარეზობს. თამარმა მზადების გარკვეული ეტაპი თბილისში გაიარა (რამდენადაც ამის საშუალებას აქაური პირობები აძლევდა), თავად ეს შეჯიბრი კი მისთვის მცირე რეპეტიციაა გენერალური სტარტის წინ. საქმე ისაა, რომ 5 მარტს ტოკიოში ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატი იწყება და ჩვენებურიც საამისოდ ემზადება. იგი მოსკოვში დარჩება მოსამზადებლად და 2 მარტს იქიდანვე გაემგზავრება ტოკიოს. მოსკოვშიც და ტოკიოშიც შანიძე ორ დისტანციაზე — 60 და 200მ-ზე ირბენს.

ჩვენი სულთმობრძავი მძლეოსნობის შემყურეთ ეგებ დაგებადოთ კითხვა, როგორ ხერხდება საზღვარგარეთ შეკრების მოწყობა და ტურნირებზე წასვლაო. ეს ყველაფერი მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) დამსახურებაა. სწორედ მის მიერ გამოყოფილი თანხებით მოხერხდა შანიძის გაგზავნა მოსკოვშიც და ტოკიოშიც, თორემ მძლეოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი უქართველებოდ ჩაივლიდა.

IAAF-ის დახმარება ცალკე საუბრის თემაა. ეს ორგანიზაცია ყოფილი სოცბანაკის ქვეყნებს უანგაროდ ეხმარება. ეს დახმარება 1998 წელს უნდა შეწყვეტილიყო, მაგრამ ვინაიდან, აგვისტოში ფედერაციაში საპრეზიდენტო არჩევნებია გასამართი, მისმა ამჟამინდელმა პრეზიდენტმა პრიმო ნებიოლომ ხსენებულ ფედერაციებს 2000 წლამდე გაუგრძელა დახმარება, თითოეულს 10 ათასი დოლარის ოდენობით. ამავდროულად, საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ მდინარაძემ თხოვნით მიმართა ნებიოლოს, დამატებითი სახსრები გამოეყოთ. ნებიოლოს არც ამაზე დაუხევია უკან და იმ თანხას კიდევ 3 ათასი დოლარი დაამატა. ამდენად, წლეულს საქართველო IAAF-ისგან სულ 13 ათას დოლარს მიიღებს. ეს თანხა გადაირიცხა გერმანიის ბანკში ჩვენი ფედერაციის გენმდივან მაია აზარაშვილის სახელზე, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობს. მისი ნაწილი აზარაშვილმა უკვე გადმორიცხა თბილისში. სწორედ ამ თანხით გაემგზავრა შანიძე, სწორედ ამ თანხით მოემზადება მორბენალი ნინო ბაგაშვილი მალთაყვაში, 25 მარტიდან კი სამი თვით გერმანიაში გაემგზავრება. ამ ფულითვე აპირებენ, მოსკოვში სავარჯიშოდ გაგზანონ კიდევ ორი პერსპექტიული სპრინტერი — დავით ილარიანი და სერგო ტურიაცკო.

ირაკლი თავაძე

—— ჩოგბურთი ——

# ქებათა-ქება ფედერერს

REUTERS როტერდამიდან



როჯერ ფედერერი

**როტერდამი. ჰოლანდია. ABN/AMRO-ს საჩოგბურთო პირველობა. დარბაზი. საპრიზო 850 ათასი $**

როტერდამის ტურნირის ორგანიზატორებმა გასული სეზონის ბოლოს ATP-ს პირველობისთვის რანგის ამაღლებისა და საპრიზო ფონდის გაზრდის უფლება დასტყუეს და შედეგიც უმალ მოიმკეს — ჰოლანდიელებს წლეულს საუკეთესო ათეულის 5 წარმომადგენელი და თითქმის ყველა რიგიანი ევროპელი ჩოგბურთელი ეწვიათ.

პირველი წრე რუსებისთვის წარმატებული გამოდგა. 19 წლის ზორბა მარატ საფინმა, რომელსაც უახლოეს მომავალში საუკეთესოთა ათეულში მოხვედრას უწინასწარმეტყველებენ, ტურნირზე პირველად განთესილი ესპანელი ალექს კორეტხა დაამარცხა 7:5, 3:6, 6:3.

მუხლის მსუბუქი ტრავმის შემდეგ წარმატებით დაუბრუნდა ასპარეზობას როტერდამში ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული ევგენი კაფელნიკოვიც. ამ ორი კვირის მანძილზე სოჭელ ჟენიას თითი თითზე არ დაუკარებია, მაგრამ საკლასიფიკაციო სისტემის კატაკლიზმების წყალობით, კარიერაში საუკეთესო — მეორე ადგილზე ალზევდა. ის კი არა, თუ როტერდამში წარმატებით გამოვა, ანუ კვირას მთავარ ჯილდოს ხელში შეათამაშებს, რუსი მსოფლიოს პირველ ჩოგან პიტ სამპრასთანაც კი მინიმუმამდე — დაახლოებით 30-50 ქულამდე შეამცირებს სხვაობას.

პირველ წრეში ჟენიას იოლი მეტოქე არ ჰყავდა: 22 წლის გერმანელმა რაინერ შუტლერმა იანვარში ჰოლანდიურზე დიდი ტურნირი მოიგო დოჰაში. თუმცა მატჩი რუსის სასარგებლოდ საათზე ოდნავ მეტში დასრულდა 7:5, 6:3. „რამდენიმე დღით დასვენება საკმარისი აღმოჩნდა. ამჟამად ვარჯიშისა თუ თამაშის დროს აღარც დაღლილობას ვგრძნობ და აღარც ტკივილს. მთავარი ის არის, კვლავ ასე გავაგრძელო“ — აღნიშნა კაფელნიკოვმა.

მეტად საჭირო გამარჯვებით თვითრწმენა შეიმატა მეხუთედ განთესილმა ინგლისელმა გრეგ რუზეცკიმაც. მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონი ამ სეზონში თავისი მთავარი იარაღის ჯეროვნად გამოყენებას ვერაფრით ახერხებდა — გასულ კვირაშიც ესპანელ ფრანსისკო კლავეტთან ორსაათიან შეხვედრაში მან ერთადერთი ეისი მოაწოდა.

თუ ჩოგბურთელს ვერწმუნებით, ყველაფერი ახალი ტიპის ჩოგნებით ექსპერიმენტირების გამოყენების ბრალი გახლდათ და პრობლემა უკვე წარსულს ჩაბარდა. ყოველ შემთხვევაში, გერმანელ ნიკოლას კიფერთან 7 ორმაგ შეცდომასთან ერთად გრეგს 14 ეისი დაუგროვდა და ორსაათიანი მატჩიც, რომლის ბოლოსაც გერმანელს დაშავებული კოჭის ხელმეორედ შეხვევა დასჭირდა, მისი გამარჯვებით დასრულდა 7:6 (7:5), 4:6, 6:3.

„ეს სეზონში პირველი მატჩია, რომელშიც, ასე თუ ისე, ხეირიანად ვაწოდებდი. ჩემს მწვრთნელ სვენ გრიუნვალდთან ერთად ბევრი ვიმუშავე ბურთის აგდებასა და ხელის მოძრაობაზე და, როგორც იქნა, გაუმჯობესებაც დამეტყო“ — განაცხადა ექსკანადელმა მატჩის შემდეგ.

იქვე რუზეცკის ერთი ახალგაზრდას შესახებაც სთხოვეს აზრის გამოთქმა. „ასეთი 17 წლის ჩოგბურთელი კარგა ხანია, არ მინახავს. ბადესთან თამაშში ცოტათი რომ მოემატებინა, არ აწყენდა, მაგრამ მე მომწონს მისი საქმისადმი დამოკიდებულება და დარწმუნებული ვარ, კლასიფიკაციაში მალიან სწრაფად აიწევს მაღლა“ — ეს სიტყვები შვეიცარიელ როჯერ ფედერერს ეხება, გასულ ზაფხულს უიმბლდონის იუნიორთა ფინალში ჩვენებური ირაკლი ლაბაძე რომ დაამარცხა.

მსოფლიოს 178-ე ჩოგანმა შვეიცარელმა თავისი მძლავრი ფორჰენდისა და მებრძოლი ხასიათის წყალობით როტერდამში უკვე ორი მატჩის მოგება მოასწრო: პირველ წრეში ფრანგ გიიომ რაუქსთან 6:7 (4:7), 7:5, 7:6 (7:3), მეორეში ჩეხ ბოგდან ულირახთან 6:4, 7:5 და ტურნირის მონაწილეთაგან პირველმაც გააღწია მეოთხედფინალში.

**პირველი წრე:** ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 1:6, 6:4, 6:3; რიჩარდ კრაიჩეკი (4, ჰოლანდია) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:3, 7:5; კაროლ კუჩერა (6, სლოვაკეთი) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:1, 6:1; უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) 7:6 (9:7), 6:3; ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) — გორან ივანიშევიჩი (8, ხორვატია) 6:7 (6:8). 7:6 (7:3), 7:5; პეტერ კორდა (ჩეხეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:4, 6:2; ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — ფელიქს მანტია (ესპანეთი) 6:0, 6:4.

**მემფისი. აშშ. KROGER ST8IUDE-ის პირველობა. დარბაზი. ჰარდი. საპრიზო 825 ათასი $**

როტერდამისგან განსხვავებით, მემფისში საუკეთესო ათეულის ერთი წევრიც კი არ ასპარეზობს, განთესილთა რაოდენობა თექვსმეტამდეა გაზრდილი და პირველ წრეში 16-ვე გათავისუფლებული იყო თამაშიდან. ამიტომ უპრიანი იქნება, ტურნირზე თხრობა პირდაპირ მეორე წრიდან რომ დავიწყოთ.

კენჭისყრამ ისე ინება, ისედაც ვარსკვლავნაკლული პირველობის ორი გამორჩეული მონაწილე — მაიკლ ჩანგი (4) და ჯიმ კურიე ადრეულ ეტაპზევე დაუპირისპირდა ერთმანეთს. ერთ დროს დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულ მეტოქე-მეგობრებს ბოლო ხანებში ერთნაირი პრობლემებიც აწუხებთ — გაჭიანურებული ტრავმები და კლასიფიკაციის სიღრმეში დაძირვა.

მხრისა და საზარდულის ტკივილებმორჩენილმა კურიემ ორსაათიან ორთაბრძოლაში თავის „კოლექციას“ გასივებული მუხლი და გადატყავებული იდაყვიც დაუმატა, მაგრამ ზემოთქმულისა და მეორე სეტის ტაი-ბრეიკზე 0:4 ჩამორჩენის მიუხედავად, მატჩი მაინც მოიგო 6:4, 7:6 (10:8).

„რაც მთავარია, მარჯვენა მხარი არ დამიზიანებია. არადა, სანამ არ ამტკივდებოდა, მას ყურადღებასაც არ ვაქცევდი. ზოგჯერ მანამ ვერ ხვდები, თუ რა კარგად დადიხარ, სანამ უცებ ფეხს არ მოიტეხ — წაიფილოსოფოსა ენაწყლიანმა კურიემ მატჩის შემდეგ — ვფიქრობ, საკმაოდ მაღალ დონეზე ვითამაშე. ახლა ყველაზე რთული ამ ფორმის შენარჩუნება იქნება“.

ბეწვზე გადაურჩა მარცხს პირველად განთესილი ტოდ მარტინი. ორმეტრიანმა ამერიკელმა ტურნირზე კვალიფიკაციით მოხვედრილ ვეტერან თანამემამულე ჯონათან სტარკს და მის 20 ეისს კარგა ხანს ვერაფერი მოუხერხა, მაგრამ მეტოქეს მატჩის უკანასკნელ გეიმში პირველად აართვა მოწოდება და შვებითაც ამოისუნთქა 7:6 (7:3), 4:6, 7:5.

**მეორე წრე:** მარკ ფილიპუსისი (2, ავსტრალია) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:3, 7:6 (7:3); ტომი ჰაასი (3, გერმანია) — ალექს ობრაიენი (აშშ) 6:4, 6:4; მარიანო პუერტა (6, არგენტინა) — მაიკლ ჰილი (აშშ) 6:4, 6:1; ჟან-მაიკლ გემბილი (7, აშშ) — ალექს კალატრავა (ესპანეთი) 6:4, 6:2; ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) — დანიელ ვაცეკი (8, ჩეხეთი) 6:4, 6:0.

ავთანდილ სვანიძე

სარბიელის არქივიდან



ჯიმ კურიე

# ნიუიორკელებმა თავისიანები ვერ იცნეს




ანაჰაიმი — ედმონტონი. ედმონტონელი რაიან სმიტი სადაცაა წაიქცევა, მაგრამ შაიბას მაინც ვერ ელევა

17 თებერვალი

### აილენდერსი — პიტსბურგი 3:1

0:0 1:0 2:1

1:0 რაიხელი 32'24 (17); 2:0 ლოურენსი 46'20 (7); 3:0 ლინდენი 49'00 (14); 3:1 მილერი 57'54 (14)

თავისიანების წარუმატებლობით დასევდიანებულ და „პინგვინთა" ფანტასტიკური თამაშის მომლოდინე „ნასაუ კოლიზეუმზე" მისულ მაყურებელს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს გუნდები შეცვალესო. წარმოიდგინეთ ნიუიორკელ ქომაგთა გაოცება, როცა სრულიად სხვაგვარად მოთამაშე „კუნძულელები" იხილეს — თურმე მათაც შეძლებიათ ლამაზი კომბინაციები, უძლიერესი დარტყმები და ყინულზე ფრენა. რომ არა სტუმართა მეკარე პეტერ სკუდრა და უიღბლობა, პირველი ექვსი წუთის განმავლობაში ისინი ოთხ-ხუთ შაიბასაც კი შეაგდებდნენ. მართალია, მერე „პინგვინები" გამოფხიზლდნენ და ოდნავ გაათანაბრეს თამაში, მაგრამ მთელმა შეხვედრამ მაინც ნიუიორკელთა უპირატესობით ჩაიარა. პიტსბურგი რომ თავის ათმატჩიან მომგებიან სერიას შეწყვეტდა, ეს 49-ე წუთზე გახდა ნათელი, როცა ტრევორ ლინდენმა რიცხვმრავლობაში სამამდე გაზარდა სხვაობა. ერთადერთი, რაც იაგრმა (1 პასი) და მისმა პარტნიორებმა შეძლეს, ის გახლდათ, რომ მშრალ მარცხს გადაურჩნენ.

„ბოლომდე ვერ გავიგე, სად შევცდით" — გაოცებას ვერ მალავდა იარომირ იაგრი მატჩის შემდეგ.

### ბუფალო — ტორონტო 2:3

0:1 1:1 1:0 0:1

0:1 დომი 4'14 (5); 0:2 სალივანი 22'21 (12); 1:2 უორდი 23'54 (16); 2:2 შატანი 50'23 (25); 2:3 სუნდინი 64'04 (18)

ოვერტაიმის ბოლო წუთზე, როცა თამაში თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, ბუფალოელთა ყველაზე საიმედო მცველი დერილ შენონი მოულოდნელად შეცდა და ჰაშეკთან პირისპირ დარჩენილმა ორმა სტუმარმა — მატს სუნდინმა (1+2) და სტივ ტომასმა (3 პასი) „ნეკერჩხლის ფოთლებს" ბოლო შვიდი წლის განმავლობაში პირველად მოაგებინეს ბუფალოში.

### ნიუ ჯერსი — ტამპა 7:1

3:0 2:1 2:0

1:0 ბრილინი 1'16 (4); 2:0 პედერსონი 6'07 (9); 3:0 არნოტი 6'58 (13); 3:1 ჰოგი 21'05 (6); 4:1 სიკორა 24'26 (19); 5:1 ნიდერმაიერი 29'21 (7); 6:1 მორისონი 56'23 (8); 7:1 პანდოლფო 58'37 (14)

აუტსაიდერთან შეხვედრა „ეშმაკებმა" სტატისტიკური მონაცემების გასაუმჯობესებლად გამოიყენეს. განსაკუთრებით კი პეტრ სიკორა (1+2) და მცველი სკოტ ნიდერი (1+2) გამოირჩეოდნენ, თანაც ამ უკანასკნელმა ლიგაში ჩატარებულ მე-500 მატჩში მე-200 პასი მიითვალა.

### რეინჯერსი — მონრეალი 3:6

0:3 1:1 2:2

0:1 რუჩინსკი 4'25 (14); 0:2 ჰოგლუნდი 4'43 (7); 0:3 კორსონი 5'32 (9); 1:3 ნაბლი 26'32 (10); 1:4 დამფუსი 28'40 (11); 1:5 ტორნტონი 44'47 (4); 2:5 ნაბლი 50'51 (11); 3:5 ნედვედი 53'00 (11); 3:6 ქუინტალი 54'02 (6)

თამაშის ბედი პირველი პერიოდის 67-წამიან ინტერვალში გადაწყდა, როცა სტუმრებმა სამი უპასუხო შაიბა შეაგდეს და ნიუიორკელთა მეკარე მაიკ რიხტერი სათადარიგოთა სკამისკენ გაისტუმრეს.

### დალასი — ფლორიდა 2:1

0:0 0:0 2:1

1:0 ლანგებრუნერი 44'49 (8); 2:0 ნიუნდაიკი 49'29 (13); 2:1 დვორჟაკი 56'14 (9)

სტუმრებს კვლავ აკლდათ პაველ ბურე (იგი ახლახან შეუდგა ვარჯიშს) და შეტევა ჩვეულად ვერ გამოუვიდათ. რეი უიტნის ბოლო წამებზე რომ ემარჯვა, „პანტერები" ერთ ქულას მაინც გამოჰკრავდნენ ხელს.

### დეტროიტი — სან ხოსე 3:1

1:1 1:0 1:0

1:0 კოზლოვი 9'30 (14); 1:1 მატო 11'52 (6); 2:1 შენაჰანი 20'31 (21); 3:1 ბრაუნი 44'56 (8)

სანხოსელთა მეკარე მაიკ ვერნონმა ვერაფერი გააწყო ყოფილ თანაკლუბელთა წინააღმდეგ, რომლებიც 1994 წლის პლეი ოფში მარცხის შემდეგ „ზვიგენებს" მოსვენებას აღარ აძლევენ და აგერ უკვე მეხუთე სეზონია, სასტიკად ჩაგრავენ.

### ჩიკაგო — ვანკუვერი 4:0

2:0 2:0 0:0

1:0 გილმორი 2'32 (14); 2:0 კილგერი 4'37 (11); 3:0 კილგერი 33'26 (12); 4:0 ამონტე 38'10 (29)

მასპინძლებმა პირველივე ორი დარტყმა გოლებად აქციეს, საერთოდ კი სულ გასამარჯვებლად 14 იკმარეს.

### ანაჰაიმი — ედმონტონი 2:6

0:1 1:1 1:4

0:1 ლინდგრენი 16'49 (3); 1:1 სელიანე 20'26 (27); 1:2 გრიერი 24'32 (9); 1:3 სელივანოვი 44'42 (7); 1:4 სელივანოვი 46'28 (8); 1:5 მიურეი 46'41 (11); 1:6 სელივანოვი 47'49 (9); 2:6 რუჩინი 48'17 (21)

იანვრის ბოლოს ედმონტონს, ტამპასა და ფილადელფიას შორის განხორციელებული სამმაგი გაცვლით, როგორც ჩანს, ყველაზე მოგებული პირველი კლუბი დარჩა — ამჟამად ედმონტონში მოთამაშე ანდრეი სელივანომა სეზონის უსწრაფესი ჰეთ-თრიქით (სამი გოლის გატანას სამ წუთზე ოდნავ მეტი მოანდომა) თავის ახალ გუნდს მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა.

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოტავა | 54 | 30 | 8 | 16 | 158:117 | 68 |
| ტორონტო | 55 | 31 | 4 | 20 | 178:166 | 66 |
| ბუფალო | 55 | 26 | 10 | 19 | 148:118 | 62 |
| ბოსტონი | 54 | 22 | 9 | 23 | 136:127 | 53 |
| მონრეალი | 57 | 22 | 8 | 27 | 134:150 | 52 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 54 | 29 | 13 | 12 | 174:114 | 71 |
| ნიუ ჯერსი | 56 | 31 | 7 | 18 | 168:142 | 69 |
| პიტსბურგი | 53 | 30 | 7 | 16 | 171:142 | 67 |
| რეინჯერსი | 55 | 21 | 7 | 27 | 150:157 | 49 |
| აილენდერსი | 57 | 17 | 7 | 33 | 135:172 | 41 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 52 | 34 | 8 | 10 | 153:105 | 76 |
| ფინიქსი | 54 | 29 | 10 | 15 | 142:113 | 68 |
| ანაჰაიმი | 56 | 23 | 9 | 24 | 147:140 | 55 |
| სან ხოსე | 56 | 20 | 13 | 23 | 130:129 | 53 |
| ლოს ანჯელესი | 55 | 20 | 4 | 31 | 129:149 | 44 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 56 | 25 | 9 | 22 | 147:144 | 59 |
| ფლორიდა | 55 | 20 | 14 | 21 | 135:146 | 54 |
| ვაშინგტონი | 54 | 22 | 4 | 28 | 136:144 | 48 |
| ტამპა | 55 | 11 | 5 | 39 | 111:202 | 27 |

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 57 | 30 | 4 | 23 | 168:142 | 64 |
| სენტ ლუისი | 53 | 22 | 9 | 22 | 149:140 | 53 |
| ნეშვილი | 55 | 19 | 5 | 31 | 127:178 | 43 |
| ჩიკაგო | 57 | 16 | 8 | 33 | 127:179 | 40 |

| ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 55 | 29 | 5 | 21 | 149:134 | 63 |
| ედმონტონი | 55 | 22 | 8 | 25 | 152:144 | 52 |
| კალგარი | 55 | 19 | 8 | 28 | 137:161 | 46 |
| ვანკუვერი | 56 | 18 | 7 | 31 | 141:177 | 43 |

*ბომბარდირები:* იაგრი (პიტსბურგი) 86 (27+59); ლინდროსი 78 (32+46); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 74 (37+37); კარია 68 (24+44); სელიანე (ორივე — ანაჰაიმი) 67 (27+40); იაშინი (ოტავა) 62 (26+36); ფორსბერგი (კოლორადო) 62 (16+46); ფლერი (კალგარი) 60 (26+34); საკიკი (კოლორადო) 58 (25+33); სტრაკა (პიტსბურგი) 57 (24+33); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 56 (29+27); დემიტრა (სენტ ლუისი); სუნდინი (ტორონტო) 56 (18+38)

# მარინო თუ მარიო?

რასაც დიდი ხანია ვარაუდობდნენ, რეალობად იქცა. მას შემდეგ, რაც პიტსბურგის ამჟამინდელმა მფლობელმა როჯერ მარინომ აშშ-ის გაკოტრების საქმეთა სასამართლოს სთხოვა, ერთი თვით გაეგრძელებინა მისთვის ექსკლუზიური სარეორგანიზაციო უფლებები, მაგრამ უარი მიიღო და თან კრედიტორთა წყრომაც დაიმსახურა, ბოსტონელმა ბიზნესმენმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იხსნის გუნდის მომავალზე პერსონალურ პასუხისმგებლობას. ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ პიტსბურგს მალე ახალი მფლობელი გაუჩნდება. არც ის არის საიდუმლო, რომ კლუბის შესყიდვის სურვილი პირველმა მარიო ლემიემ გამოთქვა. წარსულში ბრწყინვალე ჰოკეისტი, ამჟამად კი გუნდის მთავარი კრედიტორი (სხვადასხვა წყაროების თანახმად, კლუბს მისი დაახლოებით 26 მილიონი დოლარიდან 30 მილიონამდე მართებს) ორ თვეზე მეტია, ხელმძღვანელობს კრედიტორთა საგანგებო კომისიას. როგორც მან თქვა, მარინოს განცხადება მოსალოდნელი იყო, მაგრამ მისთვის მაინც სასიამოვნო სიურპრიზი გახლდათ, ვინაიდან კლუბის ამჟამინდელი მფლობელი გამოსავალს მხოლოდ სხვა ქალაქში გადაბარგებაში ხედავდა. „ჩვენ ვეცდებით, ისეთი ინვესტორები მოვძებნოთ, რომლებიც „პინგვინებს" პიტსბურგში დატოვებენ" — თქვა მარიომ ინტერვიუში და იქვე დასძინა, რამდენიმე ვარიანტი უკვე გამოჩნდაო.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ერთ-ერთი მათგანი კომპანია SMG გახლავთ, რომელსაც პიტსბურგელთა „CIVIG ARENA"-ზე აქვს უფლებები.

**სამველ ღარიბიანი**




სარბიელის არქივიდან

მარიო ლემიე



# რუსულ მდედრიონს ბენტე ემტერება

RAMSAU / DACHSTEIN
Nordic Ski
World-Championships 99

ავსტრიული კოპწია კურორტი რამსაუ დღეიდან 28 თებერვლის ჩათვლით თხილამურობის მორიგ ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ ტურნირის უმთავრესი კითხვა ის იქნება, შესძლებს თუ არა უცნობილესი ნორვეგიელი ბიორნ დალი მისი უცნობილესივე თანამემამულის ლასე კიუსის მიერ ამ სეზონში ნაჩვენები შედეგის გამეორებას. ალბათ გეხსომებათ, რომ კიუსმა მსოფლიოს სამთო-სათხილამურო ჩემპიონატზე, ამ ოთხიოდე დღის წინ რომ დასრულდა, ხუთ სახეობაში იასპარეზა და ხუთივეში მედლის (2 ოქრო, 3 ვერცხლი) ალება შესძლო. ასე რომ, ბიორნ დალის მეტოქეებთან ჭიდილის გარდა, ერთგვარ შიდანორვეგიულ რეკორდთან ბრძოლაც მოუწევს. თუმცა ეს რეკორდი მხოლოდ საამსეზონოა, რადგანაც ხუთ სახეობაში აღებული ხუთი მედლით ვის-ვის და დალის ნამდვილად ვერ გააკვირვებთ. ასეთი შედეგისთვის თავად მას ორი წლის წინ ტრონდჰაიმის მსოფლიოს პირველობაზე მიუღწევია, სადაც ერთბაშად სამი ოქრო, 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაო.

ასევე ნორვეგიელისადმი იქნება მიპყრობილი სპეციალისტთა ყურადღება ქალთა ბილიკებზეც. მცოდნე ხალხი რამსაუში რუსული მდედრიონის ბატონობის დასრულებას მოელის და ამ საქმის ერთ-ერთ უმთავრეს თაოსნად სწორედ ნორვეგიელ ბენტე მარტინსენს მიიჩნევს. მარტინსენი ამჟამად მსოფლიოს თასის ლიდერია და თავისი ქვეყნისათვის 1991 წლიდან მოუგებელი მსოფლიოს პირველობის მოგებას ლამობს. ერთადერთი სახეობა, სადაც ნორვეგიელებს ფავორიტებად არ მიიჩნევენ, ტრამპლინიდან ხტომაა. აქ უმთავრესად ფინელი იანე აჰონენისა და გერმანელი მარტინ შმიდტის პაექრობას ელიან. მიმდინარე მსოფლიოს თასის 21 ეტაპიდან მათი საერთო მონაგები ცამეტამდე ადის. ვარაუდობენ, რომ აჰონენსა და შმიდტს უწინარესად იაპონელი და ავსტრიელი მხტომელები შეეცილებიან. რაც შეეხება ორჭიდს, აქ ნორვეგიელი ბიარტერ ენგენ ვიკი ფინელ ჰანუ მანინენს დაეჯახება. მსოფლიოს თასის აქამდე ჩატარებული 14 ეტაპიდან მათი ნადავლი შესაბამისად 7 და 6 მოგებას შეადგენს.

# ამდენი თოვლი ნამეტანია!

ბაიერნის მიწაზე ოთხშაბათიდან წამოსულმა ბარაქიანმა თოვლმა ხუთშაბათამდე გასტანა და გარმიშ-პარტენკირხენში თავშეყრილ ვაჟ სამთო-მოთხილამურეებს მსოფლიოს თასის სწრაფდაშვების ეტაპის ტრასები წაუშურდლა. მოხალისეთა დიდი არმია ორი დღის განმავლობაში ამაოდ ებრძოდა კურორტზე მოძალებულ სტიქიას. „არა, ძმაო, ასეთ პირობებში სრიალი შეუძლებელია. პარასკევს იქნებ წვიმა წამოვიდეს და თუკი ისიც ნამეტანი ძლიერი არ იქნა, იქნებ ბიჭებმა გაილალონ კიდეც" — ასეთი მდგომარეობა იყო გუშინ გარმიშ-პარტენკირხენში.



# „შმონი" ლაიგელიაში

შარშანდელი „ტურ დე ფრანსის" შემდეგ, რომელმაც, გეხსომებათ, დიდი დოპინგ-სკანდალის თანხლებით ჩაიარა, ველოსიპედისტთა მსოფლიო საძმოს ლალი ცხოვრების საშუალება მოესპო. სხვადასხვა ჯურის გამგებელ-ბოქაულებს ველოსიპედზე ამხედრებული კაცის დანახვაზე უმალ აკრძალული პრეპარატები ელანდებათ. აი, გუშინაც იტალიაში „ლაიგელიას ჯილდოს" პირველი ეტაპიდან მობრუნებულ ბიჭებს შინაურ მექისესთან გამარჯვების თქმაც ვერ მოესწროთ, რომ მათ ადგილობრივი სულთამხუთავი, ვინმე ჯოვანი სპინოზა და მისი შეიარაღებული ბრიგადა დაატყდნენ. სამართალდამცავ ორგანოებთან თავაზიან კითხვა-პასუხში მონაწილეობა იმ დღის გამარჯვებულ პაოლო სავოლდელის, რუს პაველ ტონკოვს, „ჯირო დიტალიას" შარშანწინდელ პირველადგილოსან ივან გოტისა და წარსულის ლეგენდარული ჩემპიონის, ედი მერქსის პირმშო ვაჟ აქსელს მოუხდათ. საუბარი ძირითადად სპორტსმენთა ზიარ მწვრთნელ მიშელ ფერარის შეხებია. პოლიცია, თურმე, უკვე კარგა ხანია ეჭვის თვალით უყურებს, ერთი-ორჯერ მისი ბინის აბორდაჟზეც წასულან. „მათ მხოლოდ ფერარის ალმზრდელობითი მეთოდები აინტერესებდათ. თავად ჩვენთვის კი არანაირი ბრალდება არ წაუყენებიათ" — ალალად აღიარეს დაკითხვიდან გამოსულმა მრბოლებმა.



# სოკი და დღგ

## შვეიცარია მეორე საქართველოა: გადასახადებს იქაც გაურბიან

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბ-ბინა, როგორც თავადაც დიდებულად მოგეხსენებათ, შვეიცარიულ ქალაქ ლოზანაში მდებარეობს. ეს კი, სხვა ბევრ რამესთან ერთად იმასაც ნიშნავს, რომ თუკი სოკს დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) აქვს გადასახდელი, მან ეს შვეიცარიული საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად უნდა გააკეთოს. მაგრამ თავად სოკ-ელებს ამასთან დაკავშირებით ოდნავ განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ. აგერ უკვე რამდენიმე თვეა, ლოზანელი „სპორტისთავები" შვეიცარიელ დიდმოხელეებს დღგ-სგან გათავისუფლებას ეაჯებიან. ამ აჯას ალპურ მწვერვალებში ორმაგი გამოხმაურება აქვს. ერთის თანახმად, „დღგ-სგან გაწმენდაზე მეტად სოკ-ს ცოდვებისგან განწმენდაზე ფიქრი უნდა ერჩიოს". ხოლო მეორის მიხედვით, სანამ ოლიმპიელ მამებს შვეიცარიული სიონისთვის 2006 წლის ზამთრის ოლიმპიადის სამასპინძლო შანსები წაურთმევიათ, ანდა სულაც შვეიცარიიდან აბარგებულან, აჯობებდა, მათთვის არა მარტო დღგ, არამედ სხვა რამეც ჩამოეპარსათ. უნდა ითქვას, რომ მეორე მოსაზრებას — გასაგები მიზეზების გამო — შვეიცარიაში დღეს უფრო მეტი გასავალი აქვს, ვიდრე პირველს. სა-სოკ-ო შეღავათზე თავისი ყაბული უკვე ქვეყნის მთავრობასაც მიუცია და თუკი პულტს პარლამენტიც გამოიღებს, მარტის ბოლოდან სოკ-ი დღგ-ს გარეშე იცხოვრებს. დღგ-ს გარეშე ცხოვრება კი შვეიცარიელ ბუღალტრების ვარაუდით, დამატებით 2 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს ანუ 1,4 მლნ დოლარს უნდა ნიშნავდეს. თუმცა, ასკეტი სოკ-ელები ამ თანხას 10-ჯერ გაზრდილად მიიჩნევენ და თავიანთ შესაძლო სარფსაც მხოლოდ 150 ათას დოლარად ითვლიან. რაც შეეხება შვეიცარიიდან სხვაგან გადასვლას, სოკ-ს ასეთი გეგმები არა ჰქონია: უ-დღგ-ო ქვეყანაში ხომ გაქუცული კატებიც ჰყეფენ!

**ლევან ქელაურაძე**




REUTERS ლოს ანჯელესიდან

# შენი ჯიგარი დაიწო!

*ბობ ენიარტმა „ბუფალო ბილზის" ლეგენდარული მობურთალის ო ჯეი სიმპსონის ნივთების აუქციონზე 16 ათასი დოლარი დახარჯა. ამის სანაცვლოდ მას ორი მაისური, ორი ჯილდო და ო ჯეის დიდების დარბაზის სერტიფიკატი ერგო. ეს ყველაფერი ბობმა, რამდენიმე მისნაირ ენთუზიასტთან ერთად, ლოს ანჯელესის კრიმინალური სასამართლოს შენობასთან მიიტანა და საჯაროდ დაწვა... რას იზამ, ამერიკაში ჯერ კიდევ ბევრი ფიქრობს, რომ ორი წლის წინ, მკვლელობაში ეჭვმიტანილი ო ჯეი სიმპსონი გამართლების ღირსი არ იყო. თქვენ კი გეგონათ, რომ სასამართლოებთან ცეცხლს მხოლოდ ჩვენთან ანთებდნენ?!*



REUTERS ლონდონიდან

# მესამე სამყაროსთვის

ამ სიბერეში ის მსოფლიო მოგზაურად იქცა. კაცი, რომელიც ერთიანად ცახცახებს, ლაპარაკი უჭირს და სევდიანად ილიმება, ყველგან აუცილებელი სტუმარია. ის ლეგენდარული კაცია. თავისი შეცდომებით, სიამაყით, გულის კარნახით, სიყვარულითა და სიძულვილით. ის გენიალურია. მუჰამედ ალი ჰქვია, ავადაა და მაინც ცოცხლობს, მისი გამოჩენა ნაირგვარ შეკრებებზე ამ თავშეყრის კეთილ სურვილს ნიშნავს. აი, ლონდონშიაც მესამე სამყაროს სიდუხჭირისადმი მიძღვნილი დასავლეთის მთავრობათა საქველმოქმედო მოძრაობის პრეზენტაციაზე ჩავიდა.

თითქოს რა უნდოდა...

მაგრამ ალი არასოდეს მოწყვეტია თავის ფესვებს, მესამე სამყაროს.

# უძველესი რეკორდის დამხობა



REUTERS მალმოიდან

მოცურავეთა მსოფლიო თასის მორიგ ეტაპზე, რომელიც შვედური ქალაქის, მალმიოს 25-მეტრიან აუზში მიმდინარეობს, გუშინ ცურვის უძველესი რეკორდი დაემხო. ავსტრალიელმა ბატერფლაისტმა ქალმა, ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა სიუზენ ონილმა 200 მეტრი 2 წუთსა და 05,37 წამში დაფარა და ამერიკელი მერი მიგერის აგერ უკვე 18 წლის განმავლობაში ვერვისგან შეცილებული რეკორდი (2.05.65) დაამხო. გრძელტოტებიან საცურაო კოსტიუმში გამოწყობილმა ჯიშიანმა ავსტრალიელმა მართლაც ხვადაგი დელფინივით იცურა და მეორე ადგილზე გასულ დანიელ სოფია სკუს მთელი 4 წამით აჯობა. „ეგრე კარგად იმიტომ გავცურე, რომ სწორედ სოფიასი მეშინოდა" — უთქვამს საშხაპიდან გამოსულ სიუზის. ახლა მისი უახლოესი მიზანი მიგერის მეორე, ოღონდ 50-მეტრიანი აუზისთვის დამყარებული, 18-წლიანი რეკორდის (2.05.96) დამხობა იქნება. ამ მიჯნის ქვეშ ჩასვლა ონილმა გასულ სექტემბერს კუალა ლუმპურის გრძელ აუზშიც სცადა, მაგრამ მაშინ საუკეთესო შედეგამდე რამდენიმე მეასედი დააკლდა.




REUTERS მალმოიდან

# ახალი თაობა ირჩევს ბატისკაფს

კეთილმა ძველმა ბრიტანელმა, ფინკას ფოგმა დედამიწას 80 დღეში შემოუარა. მისი შერეკილი თანამემამულეები კოლინ არესკოტი და ენდი ელსონი იმავეს გაკეთებას 21 დღეში აპირებენ. საამისოდ მათ ეს უცნაური გონდოლი, ჩვენებურ ქვევრს რომ წააგავს, შეურჩევიათ. ყოველ თაობას თავისი ფორმები აქვს. ფინკას ფოგისას უფრო კალათები ერჩია. ახალი თაობა კი... ირჩევს ბატისკაფს! 17 თებერვალი. ალმერია. ესპანეთი. გაფრენის პირველი წუთები.



REUTERS ალმერიიდან



# ნანდროლონი სერვანტესის შარდში

სერვანტესს დანა ჰქვია. იგი ქალია და 4-დან 5 მეტრამდე გადებულ თამასებს გრძელი ჭოკით ახტება ხოლმე. შარშან, 18 აგვისტოს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში დანა როგორღაც ისე მაღლა შემხტარა, რომ ესპანეთის ეროვნული რეკორდიც დაუმყარებია. ნაასპარეზევს — იმის შიშით, ვაითუ რეკორდი არ ჩამითვალონო — დანას მაწვნის ქილაში საკუთარი ინიციატივით მოუსაქმია და ნიმუში ლაბორატორიაში მიუტანია. მართალია, იქ ცოტა გაჰკვირვებიათ (დანა ხომ შერჩეულთა სიაში არ იყო), მაგრამ აბა მოტანილ შარდს უკან ხომ არ გაატანდნენ და... მოკლედ, სერვანტესის ნასაქმში ნანდროლონის ფრიადი რაოდენობა აღმოაჩინეს. მას შემდეგ ვერც ესპანეთის მძლეოსნობის ფედერაციასა და ვერც სამოყვარულო მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას ვერ გადაუწყვეტიათ, როგორ მოექცნენ „საკუთარი ნებით ჩაბარებულ" სპორტსმენს. „რაღა დაგიმალოთ და, ეს საქმე ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. იმედია, რომ ყველაფერს აგვისტოში ჩამოსხმული ნიმუშის შემოწმება გამოარკვევს" — ასეთ პასუხს მიიღებთ, თუკი შესაბამის უწყებაში დანა სერვანტესის ამბით დაინტერესდებით. ნიმუშის მიერ ხელახალი დალალატიანების შემთხვევაში ესპანელ ქალს ჭოკით ხტომა უახლოესი ორი წლის განმავლობაში მხოლოდ საკუთარ ეზოში შეეძლება. ამ იგავის დედააზრი კი ასეთია: ნუ მოშარდავ, თუკი ამის აუცილებლობა არაა!

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ზვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29